პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი
28 სექტემბერი
1939 წ.
№ 223 (5623)
ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

75 წელი I ინტერნაციონალის დაარსებიდან

პირველმა ინტერნაციონალმა საძირკველი ჩაუყარა პროლეტარულ, საერთაშორისო ბრძოლას სოციალიზმისთვის.

მეორე ინტერნაციონალი წარმოადგენდა ნიადაგის შემზადების ეპოქას მთელ რიგ ქვეყნებში მოძრაობის ფართო მასობრივი გავრცელებისათვის.

მესამე ინტერნაციონალმა შეითვისა II ინტერნაციონალის მუშაობის ნაყოფი, მოკვეთა მისი ოპორტუნისტული, სოციალ - შოვინისტური, ბურჟუაზიული და წვრილ-ბურჟუაზიული სიბილწე და დაიწყო პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელება.

ვ. ლენინი

ორგანიზაციული მზადება ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მომავალი არჩევნები, რაც წლის დამლევს უნდა ჩატარდეს, სოციალისტური დემოკრატიზმის ახალი გამარჯვება იქნება. ათეულმილიონობით ამომრჩეველნი მოახდენენ საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნებს გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის სტალინური კონსტიტუციის შესაბამისად. დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო, სარაიონო, სასოფლო და სადაბო საბჭოები პირველად აირჩევიან საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით. ისევე, როგორც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატთა არჩევნები, ახლანდელი საარჩევნო კამპანია ცხადჰყოფს ჩვენი მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის მორალურ - პოლიტიკურ ერთიანობას, ძმურ მეგობრობას სსრ კავშირის ხალხებისას, რომელნიც ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობით მტკიცე რწმენით მიდიან კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ.

არჩევნების დროს არჩეულ უნდა იქნას ადგილობრივი საბჭოების 1.300 ათასი დეპუტატი. საარჩევნო კამპანიის კოლოსალური, უმაგალითო გაქანება ყველა პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან მოითხოვს საagიტაციო და ორგანიზაციულ - ტექნიკური მუშაობის ისეთ დონეს, რომელიც ამ კამპანიის გიგანტურ მასშტაბებს უნდა შეესაბამებოდეს. არჩევნებისათვის მზადება მოითხოვს **ბოლშევიკურ ორგანიზებულობას** იმისათვის, რომ ყოველ მხარეში, ქალაქში, სოფელში, ყოველ საარჩევნო ოლქში არჩევნები ჩატარდეს უკლებლივ ყველა ამომრჩევლის მონაწილეობით.

არჩევნებისათვის მზადების ახლანდელ ეტაპზე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ისეთ ორგანიზაციულ-ტექნიკურ მუშაობას, როგორიცაა საარჩევნო ოლქებისა და საარჩევნო უბნების საზღვრების დასახვა, საარჩევნო კომისიების წევრების შერჩევა და ამომრჩეველთა სიების შედგენისათვის მზადება.

საარჩევნო ოლქების საზღვრების დასახვა უდიდესი საქმეა. საარჩევნო უბნები ძირითადად დატოვებული იქნება წინანდელი, ე. ი. დაახლოებით იმავე ტერიტორიაზე, რაზედაც იყვნენ უბნები მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნების დროს. სამაგიეროდ საარჩევნო ოლქების რაოდენობა რამდენიმე ასეულჯერ დიდდება. თუ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს ერთ საარჩევნო ოლქში 300 ათასი მცხოვრები შედიოდა, რსფსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს კი—150 ათასი მცხოვრები, ახლა ყველაზე პატარა სოფლსაბჭოს ტერიტორიაზე შეიქმნება სასოფლო საბჭოს არჩევნების არანაკლებ 9 საარჩევნო ოლქისა, ყველაზე პატარა საქალაქო რაიონში შეიქმნება სარაიონო საბჭოს არჩევნების 35 საარჩევნო ოლქი. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ **სწორად დავსახოთ საარჩევნო ოლქების საზღვრები საარჩევნო კანონის სრულ შესაბამისად.** ხოლო ვინაიდან საარჩევნო ოლქები მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით იქმნება, გამოდის, მაშასადამე, რომ ყოველმა სოფლსაბჭომ, რაისაბჭომ, საქალაქო საბჭომ უწინარეს ყოვლისა უნდა დააზუსტოს მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა.

სწორედ ამით დაიწყეს თავისი მუშაობა მოსკოვის რაიონულმა საბჭოებმა. მათ დააზუსტეს მოსახლეობის რაოდენობა, შემდეგ შეადგინეს რაიონთა დეტალური რუკები და დასახეს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს, მოსკოვის საქალაქო საბჭოს და მოსკოვის საოლქო საბჭოს არჩევნების მომავალი საარჩევნო ოლქების საზღვრები. ასევე მოიქცა ყაბარდო - ბალყარეთის სოფელ პსიგან-სუს სოფლსაბჭო, რის შესახებაც ამასწინათ დაწვრილებით იყო მოთხრობილი „პრავდაში". პსიგან-სუში უწინარეს ყოვლისა მოახდინეს მოსახლეობის აღრიცხვა. ვინაიდან სოფლსაბჭოს ტერიტორიაზე უნდა შეიქმნას სასოფლო საბჭოს არჩევნების 25 საარჩევნო ოლქი, იქ გამოიანგარიშეს, რომ ყოველმა საარჩევნო ოლქმა 150 მცხოვრები უნდა მოიცვას. შემდეგ სოფლსაბჭოს წევრები შეუდგნენ სოფლის დეტალური რუკის შედგენას ყოველი სახლის მცხოვრებთა რაოდენობის აღნიშვნით. ამ რუკის გამოყენებით, შესაძლებელი იქნება სოფლის დაყოფა საარჩევნო ოლქებად.

სამწუხაროდ, ზოგიერთ ადგილას საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენას იწყებენ მოსახლეობის რაოდენობის წინასწარ გამოუთვლელად. გამოდიან მხოლოდ მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერის მონაცემებიდან. ივიწყებენ იმას, რომ აღწერის შემდეგ განვლილი დროის მანძილზე შეიძლებოდა ცვლილებები მომხდარიყო მოსახლეობის რაოდენობაში. ზოგს შეიძლება გამოეცვალა საცხოვრებელი ადგილი. ასობით და ათასობით მცხოვრებნი სახლდებიან ახალ სახლებში. მაგალითისათვის ავიღოთ ქალაქი ბარნაული. ქალაქის ფარგლებში ამ ბოლო დროს ახალი დაბები გაიზარდა. ამავე დროს კი საქალაქო საბჭომ საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენა დაიწყო დაბების მოსახლეობის ზუსტად აღურიცხავად. ბარნაულში დაავიწყდათ დაწესებულებათა სახლებში მცხოვრები რამდენიმე ათასი კაცი. ეს და ამის მსგავსი შეცდომები სწრაფად უნდა გამოსწორდეს!

საარჩევნო კანონი ამომრჩეველთა სიების შედგენას ადგილობრივ საბჭოებს აკისრებს. ეს სიები საერთო იქნება მშრომელთა დეპუტატების ყველა საბჭოს არჩევნებისათვის, და ისინი უნდა შესდგეს ყოველ საარჩევნო უბანზე ანბანის წესით. ამომრჩევლის გვარის, სახელის, მამის სახელის, ასაკის, საცხოვრებელი ადგილის ჩვენებით, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების სათანადო საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების ნომრების აღნიშვნით. სიების შედგენას უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ამომრჩეველი, რომელიც სიაში არ მოხვდება, თითქოს ჰკარგავს კენჭისყრაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას, რის დაშვებაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. **ამომრჩეველთა სიები უნდა მოვამზადოთ მეტად გულმოდგინედ ახლავე,** იმ ანგარიშით, რომ საყოველთაო გასაცნობად მათი გამოქვეყნების მომენტისათვის, — ეს კი არჩევნებამდე 35 დღით ადრე მოხდება, — ეს სიები იყოს ზუსტი, არ შეიცავდეს თუნდაც ოდნავ გამოტოვებას, დამახინჯებას, შეცდომას, ბეჭდურ ან წერითს მცდარობას.

საარჩევნო კომისიებში ახლანდელი კამპანიის დროს დაახლოებით 7 მილიონი კაცი იქნება. ეს არის აქტივის ვეებერთელა არმია, რომელსაც დაეკისრება არჩევნებისათვის ორგანიზაციულ-ტექნიკური მზადების სიმძიმე. უნდა გამოვიყენოთ ყველა აქტივისტი, რომელიც მონაწილეობას იღებდა წარსულ საარჩევნო კამპანიებში, და ამ აქტივისტებით, როგორც გამოცდილი ადამიანებით, პირველ რიგში დავაკომპლექტოთ საუბნო საარჩევნო კომისიები, სადაც ყველაზე რთული სამუშაო იქნება. შემდეგ, საჭიროა **საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში ჩავაბათ პირდაპირ მილიონობით ახალი აქტივისტები,** რომლებიც დღითიდღე იზრდებიან და რომლებსაც შესწევთ უნარი შეასრულონ ისეთი მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი სამუშაო, როგორიცაა არჩევნების ჩატარება. რაიონულმა პარტიულმა კომიტეტებმა, პირველადი პარტიული ორგანიზაციების პარტიულმა კომიტეტებმა და ბიუროებმა, აგრეთვე კომკავშირულმა, პროფკავშირულმა და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უკვე ახლა უნდა გამოავლინონ და გაითვალისწინონ ამხანაგები საარჩევნო კომისიებში სამუშაოდ. ესინი უნდა იყვნენ საუკეთესო ადამიანები, სოციალისტური მშენებლობის მოწინავე მონაწილენი.

სამხარეო, საოლქო საარჩევნო კომისიები, საოკრუგო საარჩევნო კომისიები ნაციონალურ და ადმინისტრატიულ ოკრუგებში, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საარჩევნო კომისიები უნდა შეიქმნას არჩევნებამდე არაუგვიანეს 55 დღისა. საოლქო საარჩევნო კომისიები იქმნება არჩევნებამდე არაუგვიანეს 50 დღისა. ბოლოს, საუბნო კომისიები ვალდებული არიან შეუდგნენ მუშაობას არჩევნებამდე არაუგვიანეს 45 დღისა. ამ მომენტისათვის ყველა საარჩევნო კომისია — ისინი კი 1.400 ათასამდე იქნება — უნდა უზრუნველვყოთ **ბინებით.** თუ როგორ განვახორციელოთ ეს, უნდა გადასწყდეს ადგილობრივი პირობების მიხედვით. მოსკოვის რაიონული საბჭოები ვარაუდობენ ერთ ადგილას მოათავსონ საუბნო საარჩევნო კომისია და საოლქო საარჩევნო კომისიები, რომლებიც იქმნება მოცემული უბნის ტერიტორიაზე. ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ სოფელ პსიგან-სუში განზრახული აქვთ ზოგიერთი საოლქო კომისია მოათავსონ ამ კომისიების თავმჯდომარეთა სახლებში. ყოველ შემთხვევაში, საარჩევნო კომისიები მოთავსებულ უნდა იქნას ისე, რომ მაქსიმალურად მოხერხებული პირობები შეიქმნას მოსახლეობისათვის.

ზოგიერთ ადგილას ვარაუდობენ არჩევნებისათვის ორგანიზაციულ-ტექნიკური მზადება დაიწყონ მხოლოდ მაშინ, როდესაც საარჩევნო კამპანიის დაწყება გამოცხადდება. ეს არ არის სწორი. წარსული არჩევნების დროს ზოგიერთ ადგილას ორგანიზაციული მუშაობის შეუთავსებლობამ გამოიწვია ის, რომ ამომრჩეველთა სიები შედგენილი იყო დაგვიანებით და ამასთანავე შეიცავდა გამოტოვებასა და არასიზუსტეს. აქა-იქ ბინების არადროულად მომზადების გამო საარჩევნო კომისიები თავის მუშაობას დაგვიანებით შეუდგნენ. წარსული შეცდომები არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება განმეორებულ იქნას ამჯერად! საარჩევნო ოლქების საზღვრების დროულად დადგენა, ამომრჩეველთა ზუსტი სიების შედგენა, მუშაობისუნარიანი საარჩევნო კომისიების შექმნა საშუალებას მოგვცემს სრული ორგანიზებულობით ჩავატაროთ მომავალი არჩევნები.

ახლანდელ ისტორიულ დღეებში, როდესაც მამაცი წითელი არმია ღირსეულად ასრულებს თავის დიად განმათავისუფლებელ ამოცანას, მთელი ჩვენი ქვეყანა მოიცვა დიდმა პოლიტიკურმა და საწარმოო აღმავლობამ. ეს აღმავლობა კიდევ უფრო გაიზრდება, როცა საარჩევნო კამპანია დაიწყება. საბჭოთა ადამიანების პოლიტიკურ აქტივობას უნდა შეესაბამებოდეს მთელი ჩვენი ორგანიზაციული მუშაობის დონე, და მაშინ ადგილობრივი საბჭოების არჩევნები ჩატარდება კიდევ უფრო სანიმუშოდ, ვიდრე ჩატარდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების შესანიშნავი არჩევნები, რომლიბმაც მოგვცა კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის ბრწყინვალე გამარჯვება.

„პრავდის" მოწინავე, 27/IX.

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი შუქრუ სარაჯოღლუ მოსკოვში

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი შუქრუ სარაჯოღლუს მიღება სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მიერ

ა. წ. 26 სექტემბერს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო კრემლში თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი შუქრუ სარაჯოღლუ. მინისტრს თან ახლდა თურქეთის ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ალი ჰაიდარ აქტაი.

მიღებას დაესწრნენ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილენი ამხ. ვ. პ. პოტიომკინი და ამხ. ვ. გ. დეკანოზოვი და სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი თურქეთში ამხ. ა. ვ. ტერენტიევი.

ბ-ნ შუქრუ სარაჯოღლუს მიღება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. მ. ი. კალინინის მიერ

ა. წ. 26 სექტემბერს, 14 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა მიიღო თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი შუქრუ სარაჯოღლუ.

მინისტრს თან ახლდა თურქეთის ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ალი ჰაიდარ აქტაი.

მიღებას დაესწრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ამხ. ა. ფ. გორკინი და სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი თურქეთში ამხ. ა. ვ. ტერენტიევი.

საუზმე თურქეთის საელჩოში საგარეო საქმეთა მინისტრის პატივსაცემად

27 სექტემბერს თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ბ-ნმა ალი ჰაიდარ აქტაიმ საუზმე გამართა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ შუქრუ სარაჯოღლუს პატივსაცემად. საუზმეს დაესწრნენ: ამხანაგები — ვ. მ. მოლოტოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. პ. პოტიომკინი, ვ. გ. დეკანოზოვი, ს. ა. ლოზოვსკი, ა. ვ. ტერენტიევი, ა. ე. ბოგომოლოვი, ს. პ. კოზირევი, ვ. ნ. ბარკოვი, ნ. ვ. ნოვიკოვი, ვ. ს. ფედოროვი და აგრეთვე თურქეთის საელჩოს მთელი შემადგენლობა.

საუზმის დროს ბ-ნმა შუქრუ სარაჯოღლუმ და ვ. მ. მოლოტოვმა ერთმანეთს მიმართეს მისასალმებელი სიტყვებით.

საუზმე სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარესთან და საგარეო საქმეთა სახალხო კომისართან ამხ. ვ. მ. მოლოტოვთან თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ შუქრუ სარაჯოღლუს პატივსაცემად

ა. წ. 26 სექტემბერს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა საუზმე გამართა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ შუქრუ სარაჯოღლუს პატივსაცემად.

საუზმეს დაესწრნენ მინისტრის თანმხლებნი: თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივნის მოადგილე ბ-ნი ჯევად აჩიკალინი, საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი დეპარტამენტის დირექტორი ბ-ნი ფერიდუნ ჯემალ ერკინი და საგარეო საქმეთა მინისტრის კაბინეტის დირექტორი ბ-ნი ზექი ჰოლარი.

თურქეთის მოსკოვის საელჩოს შემადგენლობიდან დაესწრნენ ელჩი ბ-ნი ალი ჰაიდარ აქტაი, მრჩეველი ბ-ნი ყარაბუდა, სამხედრო ატაშე ბ-ნი თურქმენი და სამხედრო ატაშეს თანაშემწე ბ-ნი ხანჯოღლუ.

ხსენებულ პირებს გარდა, დაესწრნენ ამხანაგები — კ. ე. ვოროშილოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. პ. პოტიომკინი, ვ. გ. დეკანოზოვი, ს. ა. ლოზოვსკი, ა. ფ. გორკინი, ა. ვ. ტერენტიევი, ვ. პ. პრონინი, რ. პ. ხმელნიცკი, ა. ვ. ბოგომოლოვი, ს. პ. კოზირევი, ვ. ნ. ბარკოვი, ნ. ვ. ნოვიკოვი.

საუზმის დროს ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა და ბ-ნმა შუქრუ სარაჯოღლუმ მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის გენერალური შტაბის ოპერატიული ცნობა

1939 წლის 27 სექტემბერი

27 სექტემბრის განმავლობაში წითელი არმიის ნაწილებმა, განაგრძობდნენ რა წინსვლას სადემარკაციო ხაზისაკენ, დაიკავეს **გრაბოვო** (15 კილომეტრზე ავგუსტოვოს დასავლეთით), **მაზოვეცკი, დროგიჩინი, კრასნოსტავი,** სადგური **ზავადა** (10 კილომეტრზე ზამოსტიეს დასავლეთით), **კრაკოვეცი, მოსცისკა** და სადგური **სიანკი** (მდ. სანის სათავის რაიონი).

პოლონეთის ჯარის ნაშთებისაგან დასავლეთ ბელორუსიისა და დასავლეთ უკრაინის გაწმენდის ოპერაციები კვლავ გრძელდება.

გლეხთა კომიტეტი უკვე მუშაობს

უკრაინული სკოლის გახსნა

სოფელ ტემასხორდი (დასავლეთი უკრაინა). 26 სექტემბერი (საკდესი). ამ რამდენიმე დღის წინათ სოფელი ტემასხორდი ადამიანს ამოწყვეტილი ეგონებოდა. გლეხებს ეშინოდათ სჩვენებოდნენ მემამულე ზელინსკისა და მის შვილებს. მათთან შეხვედრა მათ კარგს არაფერს უქადდა.

ახლა ადამიანი ვეღარც კი იცნობს ყოფილ უბადრუკ, დაბეჩავებულ სოფელს. დილიდან საღამომდე ქუჩები ხალხით არის გაჭედილი. მცხოვრებლებმა თავისუფლად ამოისუნთქეს, სრული ხმით ალაპარაკდნენ.

იმ შენობასთან, სადაც გლეხთა კომიტეტია მოთავსებული, ხალხი მუდამ ბლომად არის. დიდძალი ხალხი მიდის რჩევისათვის კომიტეტის თავმჯდომარესთან — ყოფილ მოჯამაგირე ივანე ტაბაჩკოვსკისთან. თავმჯდომარე უპასუხებს ათეულობით მიცემულ სულ სხვადასხვა შეკითხვებზე.

სოფლის გლეხთა უმეტესობას მიწა არ ჰქონია, იგი მემამულისათვის მუშაობდა. წელს ისევე, როგორც წინა წლებში, ღარიბმა გლეხებმა უხვი მოსავალი მოიწიეს მემამულისათვის, თვითონ კი უპუროდ დარჩნენ. გლეხთა კომიტეტის პირველი გადაწყვეტილება იყო მემამულის პური ღატაკი გლეხებისათვის დაერიგებინა. ამ გადაწყვეტილებამ საყოველთაო აღტაცება გამოიწვია.

სოფელში გუშინ საზეიმო დღე იყო. მცხოვრებნი ყველანი შეიკრიბნენ მემამულის კარ-მიდამოსთან — იმ ადგილას, რომელსაც წინათ შორს უვლიდნენ.

გლეხთა კომიტეტის თავმჯდომარემ განაცხადა, მემამულის სახლის საუკეთესო ოთახებში უკრაინული სკოლა იხსნებაო. ბავშვები შედიოდნენ მშვენიერ ოთახებში, რომელიც მათ არასოდეს არ ენახათ. პირველად ისინი მოკრძალებულად იხედებოდნენ აქეთ-იქით. მაგრამ ბავშვები მალე შეეთვისნენ თავიანთ ახალ ვითარებას. ოთახებში მათი მხიარული სიცილი გაისმა.

მოწაფეთა შორის 50 ბავშვი პირველად იწყებს სწავლას. მათ მშობლებს არ შეეძლოთ სწავლის ქირის გადახდა. ახლა ყველამ მიიღო განათლების უფლება, უფასოდ სწავლის უფლება.

ყოფილი მემამულის კარმიდამოში ფრიალებს წითელი დროშა. ახალმა უკრაინულმა სკოლამ მუშაობა დაიწყო.

დროებითი მმართველობის მუშაობის პირველი დღეები

ვოლკოვისკი, (დასავლეთი ბელორუსია), 26 სექტემბერი (საკდესი). ქალაქში წითელი არმიის ნაწილების შემოსვლის მომენტიდან რამდენიმე დღე გავიდა.

ვოლკოვისკის მშრომელებმა თვითონ გამოსცადეს პოლონელი შლიახტის მხრით მხეცური ჩაგვრის ყველა საშინელებანი. ქალაქში წითელი არმიის მოსვლის ერთი დღით ადრე მშრომელი ბელორუსი და ებრაული მოსახლეობის რბევა მოაწყვეს. ახლა ქალაქი გამოცოცხლდა. ამუშავდა აგურის ქარხნები, ხორცისა და ქერის ფაბრიკები. მალე ამუშავდება ცემენტის ქარხანა, რომელსაც 500-ზე მეტი მუშა ჰყავს. მის საწყობებში 13 ათასზე მეტი ტონა ცემენტი დაგროვდა. ახლა ცემენტი კულტურულ საყოფაცხოვრებო მშენებლობას მოხმარდება.

დროებითი მმართველობის რამდენიმე დღის მუშაობის განმავლობაში შექმნილია მაგარი აქტივი. მუშაობას შეუდგნენ კვების პროდუქტების მომარაგებისა და გასაღების ჯგუფები, სასკოლო, საფინანსო და საორგანიზაციო განყოფილებანი. კულტურის განყოფილებამ ქალაქის ყველა კიოსკი საბჭოთა ლიტერატურით მომარაგა. მშრომელები სწრაფად იძენენ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს", მ. გორკისა, ა. ტოლსტოის, იაკუბ კოლასის, იანკა კუპალას, მიხას ლინკოვისა და პერეც მარკიშის ნაწარმოებებს.

დროებითი მმართველობა დიდ დახმარებას უწევს გლეხობას სოფლად სავლეხო კომიტეტების მოწყობაში. ასობით გლეხი ყოველდღე მიმართავს მას რჩევისა და დახმარებისათვის. სოფელ ამენიჩის საგლეხო კომიტეტი შეუდგა მემამულეთა მიწისა და პირუტყვის განაწილებას. ყოფილმა მოჯამაგირემ ივანე რაკევიჩმა 4 დესეტინა მიწა და ერთი ძროხა მიიღო. 4 დესეტინა მიწა მიიღო ღარიბმა გლეხმა ივანე პოპოვმა. გლეხს კაზიმირ პილეცს წინათ მიწა არასოდეს არ ჰქონია და იჯარით იღებდა მემამულისაგან 1 დესეტინას. ახლა მან 3 დესეტინა მიწა და ერთი ცხენი მიიღო. კომიტეტი კონტროლს უწევს ყოფილი მემამულის ქონებისა და ინვენტარის დაცვას.

როგოშჩიზნის მამულში გლეხებმა ფრთხილად დაიცვეს მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც მემამულე მისტოვიჩს ეკუთვნოდა. ბიბლიოთეკა ათასზე მეტ ტომს შეიცავს. იგი ამიერიდან მშრომელთა კუთვნილება გახდება. ამ მამულში ქოხ-სამკითხველო იხსნება.

დაბა რადოშკოვიჩში

რადოშკოვიჩი (დასავლეთი ბელორუსია), 26 სექტემბერი (საკდესი). პატარა დაბა რადოშკოვიჩი თვითეული სახლი დღესასწაულობს და მხიარულობს. ქუჩებში წითელი ალმები ფრიალებს. ახალგაზრდობა ყველგან მხიარულობს, თამაშობენ ბავშვები, ჯგუფჯგუფად მუსაიფობენ მოხრდილები. გუშინ აქ ხალხმრავალი კრება გაიმართა. 600 კაცი დიდი ყურადღებით ისმენდა დროებითი მმართველობის თავმჯდომარის ამხ. კუხტას მოხსენებას საწარმოთა ნორმალური მუშაობის მოწყობის შესახებ. შემდეგ შეიქმნა გლეხთა კომიტეტი, რომელსაც სათავეში უდგას ღარიბი გლეხი სადოვნიკოვი.

დაბა რადოშკოვიჩი, სადაც დაახლოებით 8 ათასი მცხოვრები ითვლება, ამჟამად ნორმალურ ცხოვრებას ეწევა. მუშაობს წისქვილი, ხე-ტყის სახერხი ქარხანა, ელექტროსადგური, ტელეფონი. დროებითი მმართველობა ზომებს იღებს ტყავის ქარხნისა და ქეჩის სახელოსნოს ასამუშავებლად. დღეს მუშაობას დაიწყებს პურის საცხობი. გუშინ დაბის მცხოვრებლებმა პირველად ნახეს საბჭოთა კინოფილმი „ვიბორგის მხარე". ეს მათთვის დიდი ამბავია. კინოსურათის ნახვის შემდეგ მაყურებლები დიდხანს არ დაშლილან. ისინი ერთმანეთს უზიარებდნენ შთაბეჭდილებას საბჭოთა კინოხელოვნების ამ შესანიშნავი ნაწარმოების გმირთა შესახებ. ბოლშევიკმა მაქსიმმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე. მრავალმა დამსწრემ მოუწოდა თანამემამულეებს სიფხიზლისა და იმისაკენ, რომ დაეხმარონ წითელ არმიას ოფიცერთა ჯგუფების ნაშთებისაგან დასავლეთ ბელორუსიის გაწმენდაში.

მოსახლეობაში დიდი პოპულარობით სარგებლობს რადიოგადაცემები მოსკოვიდან და მინსკიდან.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ფონ-რიბენტროპი მოსკოვში ჩამოვიდა

27 სექტემბერს მოსკოვში ჩამოვიდა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი **ფონ-რიბენტროპი,** რომელსაც თან ახლავს ბ-ნი **ფორსტერი,** ბ-ნი **გაუსი,** ბ-ნი **შნურე** და სხვ. ამავე დროს ჩამოვიდნენ სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი გერმანიაში ამხ. **ა. ა. შკვარცევი** და სსრ კავშირის გერმანიის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის პირველი მდივანი ამხ. **ვ. ნ. პავლოვი.**

ცენტრალურ აეროპორტში ბ-ნ ფონ-რიბენტროპს შეხვდნენ: საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. **ვ. პ. პოტიომკინი,** მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **დ. დ. კოროლიოვი,** საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ამხ. **ვ. ნ. ბარკოვი,** საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ცენტრალურ ევროპის განყოფილების გამგე ამხ. **ა. მ. ალექსანდროვი,** ქალ. მოსკოვის კომენდანტი პოლკოვნიკი ამხ. **ვ. ი. სუვოროვი,** გერმანიის მოსკოვის საელჩოს მთელი შემადგენლობა საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ბ-ნ **ფონ-დერ შულენბურგისა** და იტალიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ბ-ნ **როსოს** მეთაურობით.

ცენტრალური აეროპორტი მორთული იყო საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ბაირაღებით.

მინისტრის შესახვედრად ჩამწკრივებულ იქნა საპატიო ყარაული.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის საუბარი გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ ფონ-რიბენტროპთან

მიმდინარე წლის 27 სექტემბერს შესდგა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ვ. მ. **მოლოტოვის** საუბარი გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ **ფონ-რიბენტროპთან** პოლონეთში მომხდარ ამბებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

საუბარი სწარმოებდა ამხანაგი **სტალინის,** გერმანიის ელჩის ბ-ნ **შულენბურგისა** და სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის გერმანიაში ამხ. **შკვარცევის** თანდასწრებით. საუბარი ორ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი დასავლეთ უკრაინის ნავთის რაიონებში

26 სექტემბერს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა ინახულა ქალაქები — დროგობიჩი და ბორისლავი. დროგობიჩში მიმავალი ამხ. ხრუშჩოვი გზაში სოფელ გაივეზნის გლეხებს ესაუბრა.

ამხ. ხრუშჩოვთან საუბრის დროს გლეხები აღფრთოვანებით უამბობდნენ მას, თუ როგორი სიხარულით ეგებებოდნენ ისინი წითელ არმიას, რომელმაც პოლონელი პანების ჩაგვრისაგან გაანთავისუფლა ისინი, უამბობდნენ, როგორ ღარიბულად ცხოვრობდნენ გლეხები პოლონელი პანების დროს.

ქალაქ დროგობიჩში ამხ. ხრუშჩოვმა ნავთსახდელი ქარხანა დაათვალიერა. ამხ. ხრუშჩოვმა თავი მოუყარა ქარხნის მუშაკებს და მათთან ერთად დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელნიც ხელს შეუწყობენ ქარხნის მუშაობის სწრაფად აღდგენას. მუშებმა ამხ. ხრუშჩოვთან საუბრის დროს განაცხადეს, რომ ისინი აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ქარხნის აღდგენაში.

ქალაქ ბორისლავში ამხ. ხრუშჩოვი გაეცნო ნავთის სარეწაოების მდგომარეობას. ნავთის ამოღების საქმე კარგ მდგომარეობაშია. ბორისლავში 140 ჭაბურღილი უკვე მუშაობს.

ქალაქ ბორისლავში სარეწაოების დათვალიერების შემდეგ ამხ. ხრუშჩოვი ლვოვს გაემგზავრა. (საკდესი).

საბრძოლო ეპიზოდები

დასავლეთი უკრაინა, 26 სექტემბერი (საკდესი). დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ხალხთა განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლაში წითელი არმიის მებრძოლებმა უკვდავი სახელი მოიხვეჭეს.

აი ზოგიერთი იმ ასეული მაგალითიდან, რომელნიც წითელი არმიის მებრძოლთა და მეთაურთა სიმამაცეს მოწმობენ.

1. მეტყვიამფრქვევე ალექსანდრე ზალერცევი

ბრძოლების დროს ახალგაზრდა მეტყვიამფრქვევე კიევის ოლქის ერთერთი მტს-ის ყოფილი ტრაქტორისტი ალექსანდრე ზალერცევი თავის ამხანაგებს ჩამოშორდა. ტარნოპოლისაკენ მიმავალ გზაზე იგი ტანკისტებმა აიყვანეს. როდესაც ერთერთ სოფელს უახლოვდებოდა, ალექსანდრე ზალერცევს, რომელიც მებრძოლთა ჯგუფთან ერთად ტანკზე იჯდა, ტყვიამფრქვევის ხშირი სროლის ხმა შემოესმა.

— მომყევით! — ხმამაღლა გასცა განკარგულება ზალერცევმა. მებრძოლნი ჩამოხტნენ ტანკიდან და გაწვნენ საფარში, საიდანაც ჯგუფური სროლა ასტეხეს. ტყვიები ნიშანში ზუსტად ხვდებოდა. მოწინააღმდეგე იძულებული გახდა ჩაჩუმებულიყო. მებრძოლებმა ამით ისარგებლეს და მოკლე ნახტომებით გადარბოდნენ უფრო ხელსაყრელ სასროლო მიჯნაზე. გაირბინეს ასი მეტრი და კვლავ გაწვნენ.

ეს იყო დღისით და მოწინააღმდეგე, რომლის რაოდენობა დაახლოებით ერთ ბატალიონს შეადგენდა და რომელიც მაღლობზე იყო განლაგებული, გარკვევით ხედავდა, რომ მის წინ სულ ათი კაცი იყო. მეწკრივად მოიტანეს იერიში პოლონელმა ოფიცრებმა, რომელნიც ცდილობდნენ მიეღწიათ ჩვენი მებრძოლების განლაგების ადგილას, რათა ხიშტით გაენადგურებინათ ისინი. მაგრამ მტერი ანგარიშში მოსტყუვდა. წითელ მებრძოლთა მცირე ჯგუფმა ერთი ნაბიჯითაც კი არ დაიხია უკან და მტრის მწკრივებს ტყვია სეტყვასავით დააყარა. როდესაც ბატალიონის რიგები მეტად შეთხელდა, ალექსანდრე ზალერცევმა კონტრიერიშზე წაიყვანა ჩვენი მებრძოლები.

წითელმა მებრძოლებმა მოწინააღმდეგე სავსებით გაანადგურეს.

2. ლვოვისაკენ

სატანკო ნაწილმა მიიღო საბრძოლო დავალება —ლაშქრობა მოეწყო ლვოვისაკენ და დაზვერვა მოეხდინა. ტანკის მეთაურმა ლეიტენანტმა პილნოვმა პირველმა წაიყვანა მანქანა. ლვოვის მახლობლად ამ მანქანას სროლა აუტეხეს. რამდენიმე გასროლის შემდეგ გაისმა ხელყუმბარების აფეთქება. ახლოვდებოდა მოწინააღმდეგის კოლონა.

გაისმა ბრძანება:

— ქვეითები და ტყვიამფრქვევები ბრძოლისათვის!

ტანკის ეკიპაჟი ემზადებოდა იერიშის მოგერიებისათვის. ლეიტენანტმა პილნოვმა ნაგანით ხელში მიირბინა პოლონელთა კოლონასთან და ხმამაღლა შესძახა:

— დაჰყარეთ იარაღი, წინააღმდეგ შემთხვევაში სროლას აგიტეხთ.

ოფიცერმა, რომელიც კოლონას მეთაურობდა, შეხედა მრისხანე მანქანას და დამფრთხალმა სთქვა:

— თქვენ, რომ ტანკი არ გქონოდათ, ჩვენის ნებით არ დაგნებდებოდითო.

დაიწყო განიარაღება. მთელი კოლონა სწრაფად განაიარაღეს.

ქალაქ ვილნოს ინტელიგენციის კრება

ვილნო, 26 სექტემბერი (საკდესის სპეც. კორ.). ვილნოში გაიმართა ინტელიგენციის საერთო საქალაქო კრება. კრებამ დიდი აღფრთოვანებით ჩაიარა. ყველა ორატორი მადლობას გამოსთქვამდა საბჭოთა მთავრობისა და ამხანაგ სტალინისადმი სოციალური და ნაციონალური ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის.

მუზეუმის დირექტორმა ა. ლუცკევიჩმა აღნიშნა, თუ როგორ ცდილობდნენ პოლონელი ხელისუფალნი მოესპოთ ბელორუსული კულტურა. პანების თარეშის წინააღმდეგ, სულ მცირე პროტესტის გამო, ასობით გლეხებს ჰყრიდნენ საპატიმროებში.

— ბელორუს ინტელიგენციას, — ამბობს ა. ლუცკევიჩი, არ უშვებდნენ სამუშაოზე, ყოველნაირად აფერხებდნენ ბელორუსული კულტურისა და მეცნიერების განვითარებას. ახლა პანების მიერ ჩაგვრას ბოლო მოეღო.

ორატორი მოუწოდებს ბელორუს ინტელიგენციას ენერგიული მუშაობით უზრუნველჰყოს დასავლეთ ბელორუსიის კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების აყვავება.

აგრონომმა ს. ბუსელმა თავის გამოსვლაში განაცხადა:

— დასავლეთ ბელორუსიის მშრომელები 20 წელს ელოდნენ თავის განთავისუფლებას. პოლონელი პანები საპატიმროს ჯურღმულებში ამწყვდევდნენ ბელორუსი ხალხის საუკეთესო შვილებს მარტო იმისათვის, რომ ისინი ჰბედავდნენ დედაენაზე ლაპარაკს. მაგრამ დადგა ნათელი დღე!

— სისხლით ნათესავ მშრომელ ბელორუსებს, რომელთაც საზღვარი ჰყოფდათ, საბჭოთა მთავრობისა და ამხანაგ სტალინის დახმარების მეოხებით ამჟამად შეუძლიათ ერთ ძმურ ოჯახად გაერთიანდნენ. ბელორუსი ინტელიგენცია უდიდეს მადლობას უძღვნის საბჭოთა ხალხს.

ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი ფ. გრიშნევიჩი თავის გამოსვლაში მხურვალე მადლობას უძღვნის საბჭოთა მთავრობას, წითელ არმიასა და ამხანაგ სტალინს დასავლეთ ბელორუსიის მშრომელებზე მამობრივი ზრუნვისათვის.

— ბელორუსი ხალხი, ამბობს ფ. გრიშნევიჩი, — ბედნიერად და საამურად, კულტურულად და შეძლებულად ცხოვრობს. აქ, დასავლეთ ბელორუსიაში, პოლონელი პანების ქუსლქვეშ, მშრომელი ბელორუსები იტანჯებოდნენ საოცარი თარეშისა და დამცირებისაგან. წარსული სამუდამოდ დასამარდა. ახლა ჩვენ ვიცხოვრებთ და ჩვენს ბედნიერ ცხოვრებას ავაშენებთ ჩვენ ძმებთან ერთად, საბჭოთა ბელორუსიასა და მთელს საბჭოთა ხალხთან ერთად.

ინტელიგენციის კრება თავის რეზოლუციაში მადლობას უძღვნის საბჭოთა მთავრობას დასავლეთი ბელორუსიის დახმარებისათვის და მოუწოდებს ბელორუსიის ინტელიგენციას მთელი ენერგიით იმუშაოს ხალხის კეთილდღეობისათვის.

პირველი სამგზავრო მატარებლები ტარნოპოლსა და ვოლოჩისკს შორის

ტარნოპოლი (დასავლეთი უკრაინა), 25 სექტემბერი (საკდესი). ტარნოპოლის რკინიგზის განყოფილებას თავის მეურნეობაში აქვს 70 სავსებით ვარგისი ორთქლმავალი; ეს ორთქლმავლები დარჩათ ყოფილ პატრონებს — კაპიტალისტებს, რომელნიც უკან გაჰყვნენ პოლონეთის უბედურ მთავრობას.

ახლა აქ ახალი ხელმძღვანელები არიან. დანიშნულია მოძრაობის დარგის უფროსი, დეპოს უფროსი. ადგილობრივმა დროებითმა მმართველობამ საიმედო დაცვით უზრუნველჰყო სადგური.

22 სექტემბერი განყოფილების მუშაობის პირველი დღეა. მუშებმა შეაკეთეს ორთქლმავლები, ტალახისაგან გასწმინდეს ლიანდაგები, შეადგინეს მატარებლები.

ყველგან დაძაბული შემოქმედებითი მუშაობაა გაჩაღებული. დაუჯერებელია, რომ რამდენიმე დღის წინათ აქ გამეფებული იყო ქაოსი და რღვევა, გაქცეული პოლონელი ოფიცრებისა და ჯარისკაცების პანიკა.

23 სექტემბერს პირველი სახალხო მატარებლები გაიგზავნა ტარნოპოლ-ვოლოჩისკის, ვოლოჩისკ-ჩერვონოეს მიმართულებით.

ფრონტიდან დაბრუნებულ მუშა-მოსამსახურეებსა და ჯარისკაცებს ახარებს მატარებლების ნორმალური მიმოსვლა, შედიან დეპოში. რა ბევრი მსურველია, რომ თავისი აზრი გამოსთქვას, რამდენი სხვადასხვა საკითხია!

— წარმოიდგინეთ, ამხანაგებო, — ამბობს ქვანახშირის მუშა-მყრელი ამხ. უხრი, — რომ ყოველ თვე 240 საათს ვმუშაობდით, ხელფასს კი 54 მანეთს ვიღებდით. კმაყოფაზე ოჯახის 5 სული მყავს.

მოისმის რამდენიმე ხმა:

— განა მარტო იგ ცხოვრობდა ასე? ასეთები ბევრია.

— დამშვიდებით ვმუშაობდით. როდესაც თავზე გადაგვიფრინდნენ ხოლმე საბჭოთა მფრინავები, — მოგვითხრობენ რკინიგზელები. — ისინი ჰყრიდნენ გაზეთებსა და ფურცლებს, რომლებშიც დაბეჭდილი იყო საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხანაგ მოლოტოვის სიტყვა. „ძნელია აგიწეროთ ჩვენი მღელვარება. როცა გავიგეთ თუ რაზე ლაპარაკობდა ამხანაგი მოლოტოვი. გვინდოდა რაღაც არაჩვეულებრივი ჩაგვედინა. ყოველ დღე ველოდით წითელი არმიის მოსვლას.

ყველას აინტერესებს, თუ როგორია მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი სსრ კავშირში, როგორ არიან უზრუნველყოფილნი კვების პროდუქტებით. როგორაა დაყენებული სწავლა. მუშები აკვირდებიან ყოველ სიტყვას, რაც გაუგებარია, ხელმეორედ გვეკითხებიან. საუბარი ყოველთვის დიდხანს გრძელდება.

გლეხთა კომიტეტების თათბირი კოპიჩინცში

კოპიჩინცი (დასავლეთი უკრაინა) 27 სექტემბერი (საკდესი). დასავლეთ უკრაინის 48 სოფლის 600-ზე მეტი წარმომადგენელი შეიკრიბა ქალაქ კოპიჩინცში გლეხთა კომიტეტების პირველ თათბირზე.

დროებითი მმართველობის დიდი დარბაზი გლეხებითა და სოფლის ინტელიგენციის წარმომადგენლებით გაიჭედა. თათბირზე განიხილეს საკითხები მემამულეთა მიწების დაყოფისა და გლეხთა დროებითი კომიტეტების ამოცანების შესახებ.

სიტყვით გამოსული დელეგატები გლეხთა სახელით მხურვალედ მიესალმებოდნენ ახალ თავისუფალ ცხოვრებას, მადლობას უძღვნიდნენ საბჭოთა მთავრობას და წითელ არმიას ძმური დახმარებისათვის, პანების უღლისაგან განთავისუფლებისათვის.

— ეხლა ჩვენ საკუთარი მიწა გვაქვს, — აცხადებდნენ გლეხები — ჩვენ ვიცით, რომ ვიმუშავებთ საკუთარი თავისათვის, რომ არავინ არ წაგვართმევს ჩვენს მოსავალს.

თათბირის შემდეგ სოფლებში მემამულეთა მიწის დაყოფას შეუდგნენ.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის პირველი სესია

გუშინ საღამოს მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის სხდომათა დარბაზში გაიხსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის პირველი სესია. საღამოს 7 საათისათვის ინსტიტუტის შენობაში თავი მოიყარეს მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის, თბილისის სტალინის სახელობის უნივერსიტეტისა და ინსტიტუტების პროფესორებმა, დოცენტებმა და მეცნიერ მუშაკებმა. სესიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად თბილისში ჩამოვიდნენ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სომხეთისა და აზერბაიჯანის ფილიალებისა და აფხაზეთის და აჭარის ინსტიტუტების და მხარეთმცოდნეობის მუზეუმების წარმომადგენლები.

სხდომათა დარბაზის წინ ფოიეში მოწყობილია გამოფენა, სადაც არის წარმოდგენილი მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალისა და სხვადასხვა ინსტიტუტების მუშაობის დამახასიათებელი დიაგრამები, მცენარეთა გამრავლებისა და გაუმჯობესების, წიგნების ფონდის და სამეცნიერო კადრების ზრდის მაჩვენებლები. გამოფენილია აგრეთვე მეცნიერ მუშაკების მიერ დამუშავებული შრომები, მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალისა და სხვადასხვა ინსტიტუტების მიერ გამოცემული წიგნები.

საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებათა მიღწევების სრული გამოფენა მოწყობილია საქართველოს მუზეუმში.

სხდომათა დარბაზში პრეზიდიუმის მაგიდასთან სხედან ამხანაგები: **ი. თავაძე, გ. კიკნაძე, აკად. ივ. ჯავახიშვილი.** პროფესორები—**ს. ჯანაშია, მ. ნოდია, ბ. კანდელაკი, ფ. ზაიცევი, ვ. კუპრაძე, დ. ხოსნოვსკი.** მეცნიერ მუშაკები—**ა. ჭოჭუა, ვ. ჩაგუნავა, ხ. ქუთათელაძე, ა. ვაშაკიძე, ა. კალაძე, ვ. იმედაძე.**

აკადემიკოსმა **ივ. ჯავახიშვილმა** მოკლე შესავალი სიტყვის შემდეგ სამეცნიერო აკადემიის საქართველოს ფილიალის პირველი სესია გახსნილად გამოაცხადა.

ირჩევენ საპატიო პრეზიდიუმს.

ხანგრძლივი ოვაცია გრიალებს დარბაზში, როდესაც ახსენებენ მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადის, მასწავლებლისა და მეგობრის, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა სულისჩამდგმელის დიდი **სტალინის** სახელს. დარბაზი მქუხარე ხანგრძლივი ოვაციებით ეგებება აგრეთვე ამხანაგების **ვ. მოლოტოვის, კ. ვოროშილოვის, ლ. კაგანოვიჩის, მ. კალინინის, ა. ანდრეევის. ა. მიქოიანის, ა. ჟდანოვის, ნ. ხრუშჩოვის, ლ. ბერიას, ნ. შვერნიკის, ხოზე-დიასის, ტელმანის, კ. ჩარკვიანის** არჩევას საპატიო პრეზიდიუმში.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მუშაობის შესახებ ვრცელი და შინაარსიანი მოხსენება გააკეთა მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის თავმჯდომარის მოადგილემ პროფესორმა **ს. ჯანაშიამ.**

პროფ. ს. ჯანაშიას მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ალ. კალაძემ, ა. ვაშაკიძემ, პროფ. დ. ხოსნოვსკიმ, პროფ. ფ. ზაიცევმა, ვლ. ჩაგუნავამ და ა. ძამაშვილმა.

მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის პირველი სესიის პლენარულმა სხდომამ აკადემიის ფილიალის მუშაობის შესახებ პროფ. ს. ჯანაშიას მოხსენების გარშემო რეზოლუციის ტექსტის გამოსამუშავებლად აირჩია კომისია ი. თავაძის, გ. კიკნაძის, აკად. ნ. მუსხელიშვილის, აკად. ივ. ჯავახიშვილის, პროფ. ს. ჯანაშიას, პროფ. ვ. კუპრაძის, ა. ჭოჭუას, პროფ. დ. ხოსნოვსკის, ვ. კაპიანიძის, ს. ქუთათელაძის და ალ. კალაძის შემადგენლობით.

დღეს განხილული იქნება ჰუმანიტარულ, ფიზიკო-მათემატიკურ, ქიმიურ, და ბიოლოგიურ მეცნიერებათა სექციების მოხსენებები.

საქართველოს საბჭოთა მწერლების მეორე ყრილობა

ამხანაგ სტალინის სახე ქართულ საბჭოთა მხატვრულ ლიტერატურაში

ამხ. შალვა დადიანის მოხსენება*

ამხანაგებო! ვკიდებ ხელს დიდ საქმეს.

პოეზიაზე მინდა გესაუბროთ. და მერე როგორ პოეზიაზე?

რუსთაველის დიდებული ქართულით, რომ ასახავს ჩვენი ეპოქის აზროვნების და ქმედობის უდიდეს გოლიათს, მშობლიურსა და საყვარელ ბელადს დიდ **სტალინს.**

ეს ამბავი ქართულ საბჭოთა მწერლობაში ჯერ თითქო გაუბედავად დაიწყო. თუ არა ვცდები, აქ ამხ. ს. შანშიაშვილმა გახსნა ალო.

ეს მოხდა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1932 წლის 23 აპრილის ისტორიული დადგენილების შემდეგ. ჩვენს მწერლობაში დაიწყო სწრაფვა სოციალისტური თემების უფრო ფართოდ გაშლისა და ბელადის სახის გამოხატვისაკენ. მიზეზი ასეთი შთაგონებისა იყო მუდამ დაუვიწყარი, საქართველოს დიდი მოამაგე, დიდი სტალინის უერთგულესი და უნიჭიერესი მოწაფე ამხანაგი **ლავრენტი ბერია.** მისმა სწორუტყუარმა ისტორიულმა გამოკვლევამ „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის", მისმა უშუალო მზრუნველობამ, შეგულიანებამ და მითითებამ ხელოვნებაშიაც მოახდინა ჯადოსნური საქმე.

ჯერ ჩვენი ნიჭიერი მხატვრები ალაპარაკდნენ და როგორ? სურათებმა გაიმარჯვეს გამოფენებზე ჩვენში, მთელს კავშირში.

ქართული მხატვრული მწერლობა ამ მიმართებით ძალიან მალე ამოუდგა გვერდში ფერწერის ოსტატებს. ჩვენი საუკეთესო პოეტები აღფრთოვანებულნი ქმნიან შესანიშნავ ნაწარმოებებს. ბელეტრისტიკამაც და დრამატურგიამაც თავისი ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები მოგვცეს. მაგრამ უფრო უხვად მაინც ლექსებია წარმოდგენილი ამ დიდ და საპატიო თემაზე. ამ საპატიო საქმეს ეწევიან ცნობილი პოეტები ა. აბაშელი, ი. აბაშიძე, გ. აბაშიძე, შ. აფხაიძე, ვ. გაფრინდაშვილი, დ. გაჩეჩილაძე, რ. გვეტაძე, ვ. გორგაძე, ა. გომიაშვილი, ი. გრიშაშვილი, ს. ეული, ს. თავაძე, ს. ისიანი, გ. ლეონიძე, ა. მაშაშვილი, ი. მოსაშვილი, ვ. ჟურული, გ. ტაბიძე, ა. ქუთათელი, გ. ქუჩიშვილი, ვ. ყიფიანი, ს. შანშიაშვილი, ს. ჩიქოვანი, კ. ჭიჭინაძე, ი. ხოშტარია და სხვ.

თითქმის ყველა ამათ ორნაირი ხასიათის ნაწარმოები აქვთ: ერთია პირდაპირი — მიმართებითი, როგორც, მაგალითად, პოეტ გიორგი ლეონიძისა:

„...მწარე ნატკენის ზღვევა ხარ
თუ ღტაკს სადმე სტკენია
დახრილი ქედის გაშლა ხარ,
დროშა ხარ, ტარით მაღალი;
შეუწყვეტელი „ვაშა" ხარ
გულიდან გულზე სახალი!"

მეორე კი მოიარებითი, როდესაც სხვა თემაზე სწერენ, მაგრამ ბელადს იხსენიებენ. მაგალითად პოეტი შ. აფხაიძე „ახალ კოლხიდაში" ჰაობს ასე მიმართავს:

„პირველყოფილი ქაოსის ხმა შენი გვსმენია,
ვით თარეშობდა შენს გულ-ღვიძლში რიონი ყბედი.
მაგრამ მოვიდა, აღმობრწყინდა თვითონ გენია,
თვით სიყვარული, სასოება და ჩვენი ბედი".
მოვიდა... გაჰკრა მისი საბრძნით ჰაობის სევდა,
მიწას ხალხისთვის მისაწვდომი მიეცა სახე.
საუკუნეთა ამ სიმშვიდეს სხვა ვინ დასძლევდა,
სხვა ვინ აქცევდა ნეტარებად კოლხიდის სახელს?"

აქ სახელიც კი არ არის ნახსენები ბელადისა, მაგრამ ჩვენი დროის უდიდესი ნებისყოფის ადამიანი თავისი ქმედობით ძალიან ნათლად დასანახია.

პოეტი ა. მაშაშვილი თავის ორ საუცხოო ლექსში — „სამშობლო ბელადისა" და „ჰიმნი სამშობლოს" უფრო აღწერილობით მანერას რჩეობს:

„დღეს საბჭოების დიად სამყაროს
ერთვის მრავალი ქვეყნის ერები
სტალინის აზრით გაჩაღებულა
ცრემლით ჩამქრალი მათი კერები".

ან კიდევ:

„ჩემო სამშობლოვ, შენ გიხაროდეს,
აზრთა გენიის, რომ ხარ მშობელი..."

და ბოლოს ვაჟკაცური შეძახება:

„ჩემო სამშობლოვ, დღეს შენი ერი
განახლებული ქართლის ერია,
ასე ხმიერად და ბედნიერად
შენ არასოდეს არ გიმღერია.
ალის ფერია შენი მიდამო,
ეგ შენი დროშაც ალის ფერია,
შენი სიცოცხლე არის სტალინი
შენი მარჯვენა არის ბერია".

ი. გრიშაშვილი — ეს მაღალ ნიჭიერი პოეტი, რომელიც წარსულში მხოლოდ ქალს დასტრიალებდა და ბევრი შედევრებიც უძღვნა მას, ბოლო ხანებში სოციალურ თემებზე მუშაობს. ჩვენმა დიადმა ეპოქამ ეს საუცხოვო მწერალიც გამოიყვანა ფართო გზაზე და დიდი ბელადის მომხიბვლელ სახეს მანაც შესძლვნა თავისი ფერადები. გრიშაშვილი სწერს ლექსს ილია ჭავჭავაძეზე, რომელშიაც უეცრად გაიელვებს ასეთი თქმა:

„ილიავ, აღსდგა დიდება შენი....
გათავდა შენი ტანჯვა და ჯვარცმა...
შენ აღგადგინა ფოლადის კაცმა".

ან „ვეფხვის - ტყაოსანსა და ჭიაკოკონაში":

„ორი მდინარე ჩაუდის ხერთვისს
ერთმანეთს ეკვრის, დუდუნებს, შფოთავს.
ორი სახელი ერთმანეთს ერთვის
დიდი ბელადი და დიდი შოთა!".

საბავშვო ლექსებშიაც აქვს გრიშაშვილს მსგავსი მუნასიბები. მაგალითად, ლექსში „გაზაფხულის მოლოდინი" პოეტი მიმართავს ბავშვს:

„შენ ბელადის ცა დაგხარის
მწყაზარი და მშვენიერი.

უსწავლელი არვინ დარჩეს
ასე უთხრა მან თქვენს კრებულს
ის პატარა ლილსაც ამჩნევს
თქვენს ხალაზე დაკერებულს".

ან „ონავარში":

„განა ეს ეკადრება
ამ თაობას, ამ ხანას?
ასე უხდი მადლობას
ბელადსა და ამხანაგს?"

აგრეთვე მოიარებითია გ. ლეონიძის ბალადა „ფორთოხალა". აქ არის ასეთი ადგილი:

„იზარდე ნერგო, გამაგრდი
სტალინის ხელმა გახარა;
ნერგო, შენ დაგრგო ბელადმა,
მზე პირზე გადმოგაყარა.
შენ არ გახმები გოლვაში
და არც ყინვაში დაიძრები.
შენს კოკორსა და ყვავილში
ჰყვავის სტალინის აზრები".

პოეტი ი. მოსაშვილი აგვიწერს თუ როგორ მღერის სტალინზე „მფრინავი ვარსკვლავებთან", „მეხრე ურემზე", როგორ ღიღინებს ჩონგურზე ბელადის სადიდებელს „მეწყვილი მეფარე", როგორ დაჰყვება თან დიდი სტალინის სახე

„ზეცაში—მფრინავს, ბრძოლაში — მხედარს
ვაჟკაცს, ზღვასავით გაშლილ ყანაში"..

თუმცა ამ ლექსში მიმართვაც არის:

„და ბავშვიც, როცა შესცქერის დედას,
უსმენს და თითქოს სიზმარში გხედავს
შენებრ მშობლიურ იავნანაში".

მაგრამ საერთოდ ამ ლექსსაც უფრო მოიარებითი ელფერი ახლავს.

პოეტი სიმონ ჩიქოვანი კი სულ სხვა ხერხით — ხმარობს მოიარებას. ლექსში „მდინარის გადაგდება" მოხუცი მეურმე არ უჯერის ახალგაზრდას:

„მდინარე რიონს ვინ დასძრავს, ბაბო,
ტყვილი შრომაა, გამძლე აქვს ფუძე".

მაგრამ როცა ყმაწვილი ეტყვის, რომ ამას სტალინი ამბობსო, მაშინ მოხუცი სრულიად შეიცვლება და მის შეგნებაში ურყევი რწმენა დასადგურდება:

„ბელადი ბინდშიც ალიონს ხედავს
პალიასტომში განსჭვრეტავს ფაცერს:
სტალინის ფიქრი ჩვენს ნამოქმედარს
ფესვივით ჰკვებავს და ავაყაცებს".

ასეთი ხერხი მხატვრობაში ძლიერია და პოეტსაც ორიგინალურად აქვს შემკული ნაწარმოები:

„მეტიჩრებივით ალვები თეთრი
ავარდნილიყვნენ ბუჩქებზე მაღლა
და აფრენილი მტკვარიდან მტრედი
ფრთებით ვარცხნიდა რიონის ტალღას".

დიდი ოსტატობით და მხატვრული გემოვნებით აქვს დაწერილი პოეტს ა. აბაშელს თავისი „ფოლადაური" და „სამშობლოსადმი". პირველი თითქოს ვაჟას კილოთია დაწერილი და ლამაზი მთიულური ნაჭედ-სიტყვაობით გამოირჩევა:

„ისმოდა ბრძოლის გუგუნი
აბჯრის ჩხრიალი ჯარისა,
ლაწანი მაგარ მყინვარის
გრილით შეკრული კარისა;
თქვენთან მოიჭრა ყვირილი
მიწის მზხვერავის ხარისა:
გოგოთურს გმირი უხმობსო
იმედი მთის და ბარისა—
კაცი ბელადად შობილი
ფოლადაურის გვარისა".

ეს ლექსი ასეთი აკორდით მთავრდება:

„იმსვლელით ჩვენი დროების..
დიდი ბელადის, სტალინის
საკაცობრიო მიზნითა".

ასეთსავე თითქოს სხვა საგანზე წერით იხსენიებენ ბელადს დანარჩენი პოეტებიც და მათ შორის გ. ქუჩიშვილი, ნ. მაჩიძე, ს. თავაძე, ს. ერთაწმინდელი, ს. მთვარაძე და სხვ.

მაგრამ გადავიდეთ იმ ლექსებზე, რომლებშიაც პოეტები პირდაპირ ბელადს მიმართავენ. აქ, როგორც ზევით ვთქვით, პირველი ლექსი დიდ სტალინზე ქართულს ლიტერატურაში ს. შანშიაშვილმა უძღვნა. პოეტი დიდი სიძნელეების წინაშე იდგა. ამ მიმართულებით გზა გაუკაფავი იყო. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ აწ უკვე სამართლიანად სახელმოხვეჭილი ფოლკლორული ლექსი:

„არ მინდა ვოლგას გამსგავსო
მდორეა, გაბლანტებული,
არც ამ ჩვენებურ არაგვსა
გიჟია, აქაფებული" და სხვ.

შანშიაშვილის ლექსამდე გამოქვეყნებული არ იყო. სანდროს შემოქმედება ამ შემთხვევაში სრულიად ხალასია, უწინაპრო და თავისთავადი.

ამის შემდეგ ჩვენი პოეტები თანდათან უშინაურდებიან ბელადზე წერას და ეს დიადი სახე მათთვის გაუშორებელი გახდა.

„ღრმა ლირიზმი, ნამდვილი პოეტური აღმაფრენის შეთავსება პოლიტიკურ მგზნებარებასთან დამახასიათებელია მოწინავე ქართველი პოეტების... იმ ლექსებისათვის, რომლებიც მიძღვნილია ბელად სტალინისადმი"—სწერს კრიტიკოსი ვ. წულუკიძე და ეს მართლაც სრული სიმართლეა.

ჩვენ საშუალება არა გვაქვს ერთ მოხსენებაში ამოვწუროთ და გავარჩიოთ ყველა ის ლექსები, რომლებიც ამ თემაზეა დაწერილი. ამიტომ მოკლეთ შევეხებით მხოლოდ ზოგიერთ ლექსს.

შ. აფხაიძე თავის ლექსში „სტალინ" აღწერს დიდი ბელადის ღვაწლს. მან, პოეტის აზრით, „ორი სამყაროს გადაჭრა დავა", შექმნა „რკინის თაობა" და ყველა ქვეყნის მშრომელის გულს იმედი და ნუგეში მოჰფინა.

პოეტი კ. ბობოხიძე თავის ლექსებში დღეგრძელობასა და გამარჯვებას უსურვებს მას.

პოეტი ვ. გაფრინდაშვილი ამხელს ყოველი მხატვრის ოცნებას, ყოველი პოეტის ფიქრს, რომ

„ასახონ იგი, ვით თვალი ნატვრის
და შთაგონება მთელ საბჭოეთის".

რ. გვეტაძე თავის ლექსებს ბელადის სახელს არ არქმევს, მაგრამ სათაურშივე იძლევა მის პოეტურ სახეს („ვინც მზესავით ანათებს", „პირველი დეპუტატი" და სხ.).

ვ. გორგაძე თავის ლექსში მშვენიერ შედარებებს იძლევა.

საუცხოოა ი. გრიშაშვილის ლექსი „წერილი ბელადისადმი ჩემი უბნიდან".

კარგია ს. ისიანის ლექსიც.

გ. ლეონიძეს ბევრი ლექსი აქვს ბელადზე და ერთიც მოზრდილი შესანიშნავი პოემა. პოეტი უხვია თავის შედარებებში:

„სტალინის სახე ჰკიდია
ქოხებში, როგორც ხანჯალი".

მზევ ცხრაფრთიანო, ცხრაკარიანო —
შენ არასოდეს დაიღრუბლები.

მსოფლიოს გულო მფეთქავო
ქართული ქოხის დიდებავ".

შემოქმედების მგზნებარე ცეცხლით არის გამთბარი გ. ლეონიძის პოემა „ბავშობა და ყრმობა".

ჩვენი ქვეყნის აყვავება პოეტ ი. მოსაშვილის ცნობიერებაში უშუალოდ არის დაკავშირებული ხალხთა ბელადის სახელთან. მისი ლექსები დიდი პოეტური განცდებით ხასიათდება.

ვ. ჟურული აღნიშნავს, რომ ბელადი ხალხის წიაღიდან არის გამოსული.

სახალხო პოეტი გ. ტაბიძე რამდენიმე სტრიქონით გვაუწყებს, რომ იყო „ბორკილი მონობის, ომი და ღალატი", დღეს კი „სვიანია" მსოფლიოს მეექვსედი. უდიადესმა ბელადმა

„ასწია დროშა მაღალი
კაცთა შრომის და გონების
მსოფლიო აზრის ძახილის
მიღწევის, გამოგონების".

პოეტმა სიმონ ჩიქოვანმა ორი ლექსი უძღვნა ბელადს—„გორის ციხე" და „სიმღერა სტალინზე". გორის ციხე ვაჟკაცური კილოთი ბგერს. „სიმღერა სტალინზე" კი საზეიმო ზარების რეკვაა:

„მაშ ამღერდი მთა და ველო,
მზევ სხივები დააცხუნე
სტალინ, სტალინ საყვარელო
შენ მოგძახის საუკუნე".

ბელადისადმი კარგი ლექსი აქვს მიძღვნილი ახალგაზრდა პოეტს დ. გაჩეჩილაძეს. იგი ეხმაურება ბელადის სიტყვებს: „სასიამოვნო და სასიხარულოა იცოდეთ, რომ სისხლს, რომელიც უხვად დაღვარეს ჩვენმა ადამიანებმა, ამაოდ არ ჩაუვლია, რომ მან თავისი შედეგი მოგვცა". ლექსის სიტყვიერი მასალა გაშლილი და გამართულია.

კარგია ი. ხოშტარიას ლექსიც.

ყველა ამ ლექსებში მკითხველი გრძნობს თუ რა უსაზღვრო სიყვარულით არიან აღსავსენი ბელადისადმი ჩვენი პოეტები. ამას ადასტურებენ ის პოემებიც, რომლებიც ამ თემაზეა დაწერილი. სანდრო ეულის „ფოლადის პოეტი" მშვენიერი ეპიკური პოემაა. საპოემო იმბაგია მისი ლექსიც „დედის ნახვა".

ბელადზე დაწერილ პოემებს შორის აღსანიშნავია კ. მიქელაძის პოემა „ორი არწივი" და გრ. აბაშიძის პოემა „შავი ქალაქის გაზაფხული". ეს უკანასკნელი ახალგაზრდა პოეტის უტყუარ პოეტურ ნიჭზე ღაღადებს.

როგორც ხედავთ, ქართული პოეზია ამ თემაზე დაწერილი მხატვრული პროდუქციით არ ჩამოუვარდება სხვა მოძმე ხალხის პოეზიას. პოეტური სამკაულები მათში უხვად ჩაუფრქვევიათ ჩვენს პოეტებს. ზოგიერთი ლექსები კი ნამდვილ შედევრებს წარმოადგენენ. ამ დიდმა თემამ ჩვენს პოეტებს სოციალისტური რეალიზმისაკენ უჩვენა გზა. [illegible], სიტყვებით უაზრო ჯამბაზობა ჩამოსცილდა ზოგიერთის კალამს და მათი ნაწერები ამ თემაზე უაღრესად ხელმისაწვდომი გახდა მკითხველისათვის. პოეტები მიხვდნენ, რომ ბელადის დიდი პიროვნება, მისი აზროვნება და მოქმედება თავის სიდიადესთან ერთად უაღრესად სადაა, ყოველგვარ ზედმეტ ჩუქურთმებსა და ზარნიშებს მოკლებული. მათ რეალისტური გზით უნდა ევლოთ თავის შემოქმედებაში, მაგრამ იმავე დროს არ ჩამოქვეითებულიყვნენ გაშიშვლებულ სიმარტივემდე, ვულგარობამდე. ეს წონასწორობა მათთვის სავალდებულო იყო და, საბედნიეროდ, ჩვენმა პოეტებმა არ დაჰკარგეს საჭირო ზომიერების გრძნობა.

მიუხედავად ამისა, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ეს დიდი თემა დაძლეული მაინც არ არის. ამ შემთხვევაში ჩვენ ნაწილობრივ გამარჯვებასთან გვაქვს მხოლოდ საქმე.

ყოველი ჩვენგანი გრძნობს, რომ ეპოქა სხვას მოითხოვს—ხოტბა-შესხმას კი არა, უფრო დიდ შემართებას, უფრო დიდ მონუმენტალობას.

სულ სხვა მდგომარეობა გვაქვს მხატვრულ პროზაში. ჯერჯერობით ამ თემაზე მხოლოდ სამი ბელეტრისტული ნაწარმოები მოგვეპოვება. ესენი ეკუთვნიან დ. შენგელაიას, დ. სულიაშვილს და რ. ქორქიას. სამაგიეროთ ეტყობა უხვ მოსავალს უნდა ველოდეთ. მე ვთხოვე მწერლებს და მათ თავაზიანად მომაწოდეს მათი მომავალი მუშაობის გეგმა. ბელეტრისტი კ. გამსახურდია გვაცნობებს, რომ მისი ჯერ დაუბეჭდავი რომანი „ბელადი" წარმოადგენს ტრილოგიას, რომელშიაც ასახული იქნება რევოლუციის კვირაძალი 1879 წ. 1913 წლამდე. მასში მოცემული იქნება როგორც შესამზადებელი განწყობილებანი საქართველოს სხვადასხვა სოციალურ სფეროებში, ასევე დიდი ბელადის ზრდისა, დავაჟკაცებისა და ბრძოლის პერიოდები ამიერ-კავკასიაში.

მწერალს დ. შენგელაიას უკვე დამზადებული აქვს დიდი რომანი, რომელიც ბელადის სიყრმეს აგვიწერს. ლ. მეტრეველს დამზადებული აქვს პროზაული პოემა „ქართლის დედა", რომელშიაც მოცემულია ბელადის მშობელი, რომლის მთავარ საზრუნავს შეადგენს ქვეყნისათვის თავდადებული შვილის აღზრდა.

რ. ქორქია მუშაობს მოთხრობაზე „არწივების ბუდე".

ასეთია პერსპექტივები. გაკეთებული კი ქართულ ბელეტრისტიკაში ბელადის გარშემო მეტად მცირეა. დ. შენგელაიას ნიჭიერად დაწერილი „ფიცი" დიდი პოპულარობით სარგებლობს. ეს მოთხრობა აღსავსეა მშვენიერი ადგილებით. მოვლენები აქ აღწერილია დიდის განცდითა და დამაჯერებლობით. ავტორი მასში დიდ მხატვრულ ტაქტსა და ოსტატობას იჩენს.

დიდი პოპულარობით სარგებლობენ დ. სულიაშვილის და რ. ქორქიას მოთხრობებიც, მაგრამ ყველა ეს ძალიან ცოტაა რიცხობრივად და თავის სისრულითაც.

დაგვრჩა დრამატურგია. აქ, სამწუხაროდ, მხოლოდ ჩემს თავზე მომიხდება ლაპარაკი, რადგან ორიგინალური პიესა, რომელიც ბელადს უშუალოდ ასახავდეს, არ მოგვეპოვება. ჩემს თავზე უნდა გავიმეორო ის, რაც ამხ. შანშიაშვილზე ვთქვი, როდესაც მის ლექსს შევეხე. არც მე მყავდა წინაპარი დრამატურგიაში. ჩემი გზის გამკვალველი მე თვით გახლავართ და ამისათვის უთუოდ ბევრი რამ მომეტევება. აქ კიდევ ერთხელ უნდა გავიმეორო, რომ თუ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. და თვით მაღალგონიერი ამხანაგი ლ. ბერია არ დამხმარებოდა, მე მარტო ერთი ვერას გავაწყობდი და ბელადის გამოსახვას ვერ გავბედავდი.

ამას წინად ერთმა მოსკოვის გაზეთმა მისაყვედურა, ბელადი მარტო ორატორად ჰყავს გამოყვანილიო, გულში კი ვთქვი — დალოცვილო შვილო!.. თუმცა ეს მართალი არ არის. პიესაში მაქვს ერთი ადგილი, სადაც ბელადს 9 მარტის დემონსტრაციის დროს დაჭრილი მუშა თავის ხელით გაჰყავს ბრძოლის ველიდან. მე ეს ადგილი დიდათ მიღირს. ჯერ ერთი ეს ამბავი ისტორიული ფაქტია და მეორე სიმბოლიურად ეს იმას ნიშნავს, რომ დიდმა სტალინმა თავისი მხრებით გაიყვანა მუშათა კლასი დიდ ისტორიულ გზაზე. თუ ამას ზოგიერთი თეატრი არ აკეთებს ან ვერ აკეთებს ეს ჩემი ბრალი არ არის და ამის წამალი ყოველთვის ის არის, რომ რეცენზენტმა წარმოდგენის ნახვის გარდა, პიესაც წაიკითხოს და მერმე თქვას „საყვედურები".

სხვა რა მეთქმის! ბედნიერი ვარ, რომ ხალხმა შეიყვარა ეს პიესა და ყველა თეატრებში დიდ მოწონებას იმსახურებს.

ამით თავდება ჩემი მკრთალი მიმოხილვა, მხოლოდ ზოგიერთი მოსაზრებანი მაინც მსურს მოგახსენოთ პერსპექტივისათვის.

ჩვენ რომ უდიდეს ეპოქაში ვცხოვრობთ ეს ცხადზე უცხადო ცხადია და ამ ეპოქას, რომ თავისი მხატვრული სიტყვაც აქვს ესეც უეჭველია. მაგრამ ბევრმა ჩვენგანმა კიდევ ვერ იგრძნო, რომ პოეზიაშიაც, ბელეტრისტიკაშიაც, დრამატურგიაშიაც ახალ გზებს უნდა ძებნა, ახალ ხერხს, ახალ საჭურველს.

სამუშაო ძალიან ბევრია, განსაკუთრებით ახლა, როდესაც მთელ დედამიწის ზურგზე კოსმიურ ძვრებისთანა დიდი ამბები ხდება. როდესაც იწყება დასასრული ბურჟუაზიული კლასისა და გვიახლოვდება სანატრელი დრო მსოფლიო სოციალისტური რევოლუციისა.

ჩვენ ყველანი ჩვენს ალაგას უნდა ვიყვეთ. მაშასადამე, მწერლებმაც უნდა განვაგრძოთ კიდევ უფრო ინტენსიური და მაღალ-მხატვრული შემოქმედება, რათა კიდევ უფრო განვამტკიცოთ კულტურული ზრდა ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოსი, რომ ჩვენი ხალხი იყვეს მთელს მსოფლიოში სანიმუშო და მისაბაძი, როგორც თავისი რწმენით, მხნეობით და სიმტკიცით, ისე თავისი მეცნიერებით, ხელოვნებით, თავისი მაღალი კულტურით.

მაშ, გულდასმით, ერთგულებით და შეურყევლად ვაკეთოთ ჩვენი პირდაპირი საქმე, ვუმღეროთ მას:

„სტალინსა, ხალხთა გენიას,
ვისი მზრუნველი მარჯვენა
მსოფლიოს გადასწვდენია".



ყრილობის დღიური

27 სექტემბრის დილის სხდომა

27 სექტემბრის დილის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა ამხ. შ. რადიანი, გრძელდებოდა კამათი ამხ ა. მაშაშვილის, შ. დადიანისა და ს. ჩიქოვანის მოხსენებათა გარშემო. სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. მ. პატარიძემ, ა. საჯაიამ, ს. მთვარაძემ, ი. მჭედლიშვილმა, ი. აბაშიძემ, კ. ბობოხიძემ, ასლანიანმა (სომხური სექცია), ს. წვერავამ და რ. ქორქიამ.

ამხ. მ. პატარიძე ძირითადად შეჩერდა თარგმნის საკითხებზე და შეიტანა წინადადება, რომ მწერალთა კავშირმა გამოსცეს ალმანახი მოძმე ერებისა და უცხოური ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებთა თარგმანების გამოსაქვეყნებლად.

დრამატურგიის საკითხებზე ილაპარაკა ამხ. ს. მთვარაძემ, რომელმაც განიხილა ყოფაცხოვრებითი და პრობლემური დრამების რაობა და საჭიროება, მაგრამ უპირატესობა მისცა პრობლემურ დრამას.

პოეტმა ირ. აბაშიძემ ილაპარაკა ახალგაზრდა მწერლობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ ზოგიერთ ახალგაზრდას მართლაც ახასიათებს ყოყოჩობა, მოუმზადებლობა, სინამდვილისაგან ჩამოშორება, მაგრამ ძირითადად უკანასკნელ ხანებში ლიტერატურაში შემოდიან ნიჭიერი ახალგაზრდები (შ. ამისულაშვილი, ჯაბუშანური, ბალიაური, ხიმშიაშვილი, საჯაია, უბილავა, ასათიანი, ავალიანი, ჩხაიძე, ჩიქოვანი, შავგულიძე და სხვები), რომლებიც გულწრფელად მუშაობენ, სწავლობენ და უკვე სწერენ საყურადღებო ნაწარმოებებს.

საქართველოს მწერალთა კავშირის სომხური სექციის წევრმა ამხ. ასლანიანმა გააკრიტიკა სომხური ლიტერატურული ჟურნალის რედაქცია, რომელიც ხშირად სუსტ მასალებს ბეჭდავს და თვალსაჩინო ნაწარმოებები გამოუქვეყნებელი რჩება. ორატორმა აღნიშნა, რომ სომხური სექცია ერთობ სუსტად მუშაობს.

ამხ. ს. წვერავა და ამხ. რ. ქორქია უმთავრესად შეჩერდნენ მწერალთა კავშირის მიერ მწერლებისადმი მზრუნველობის გაძლიერების აუცილებლობაზე, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლაზე, პერიოდულ პრესაში ლიტერატურის საკითხების გაშუქების, მწერალთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ და სხვ.

27 სექტემბრის საღამოს სხდომა

საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი მოსმენილ მოხსენებათა გარშემო. სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. ვ. გაფრინდაშვილი, ა. გაწერელია, ბ. ჟღენტი და ს. ეული.

ამხ. ბ. ჟღენტმა ჩვენი ლიტერატურის ვრცელი მიმოხილვა გააკეთა, აღნიშნა მწერლობის უდიდესი მიღწევები და ხაზი გაუსვა იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც თანამედროვე ქართულ ლიტერატურას ახასიათებს. ჩვენი პოეტების უმრავლესობას არ ახასიათებს ახალი ფორმების ძიება, შემოქმედებითი ინდივიდუალური გზის გამონახვა. მაღალ იდეურობას სრულქმნილი ფორმა უნდა ახლდეს თან და სწორედ აქ აქვს ჩამორჩენა ზოგიერთ ჩვენს თანამედროვე ქართველ პოეტს. თემატიკური განსაზღვრულობა ახასიათებს ქართულ პროზასაც, რომელშიც მთლიანად არ არის ასახული თანამედროვე საქართველოს სინამდვილე. თვითკრიტიკა მწერალთა შორის არ არის პატივში. კრიტიკის მიმართ გამოთქმულ საყვედურებს ორატორი დაეთანხმა, მაგრამ აღნიშნა, რომ კრიტიკოსებს არ ეხმარებიან, არ უქმნიან მუშაობის პირობებს. კრიტიკის მოუთმენლობა ახასიათებს თითქმის ყველა ჩვენს მწერალს. ყველა ამ ნაკლოვანებების გასწორება მწერალთა კავშირის საქმეა, მაგრამ იგი სუსტად მუშაობს.

ვრცელი სიტყვით გამოვიდა სსრკ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის მდივანი ამხ. **ა. ფადეევი**, რომელმაც საქართველოს მწერლებს და ყველა მშრომელთ გადასცა სსრკ მწერალთა კავშირის სალამი. ყრილობა ოვაციებით შეეგება დიდი რუსი ხალხის გამოჩენილ მწერალს.

— თქვენი სახით, — სთქვა ამხ. ა. ფადეევმა, — მე მივესალმები იმ ქვეყნის მწერლობას, რომელმაც მსოფლიოს მისცა დიდი **სტალინი.**

დარბაზი მქუხარე ტაშმა დაჰფარა. მწერლებმა მხურვალე ოვაციები გამართეს საყვარელი ბელადის პატივსაცემად.

ამხ. ფადეევმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ კამათი ყრილობაზე იყო თვითკრიტიკული, მაგრამ ზოგჯერ ცალმხრივი. მეტი ადგილი უნდა დასთმობოდა შემოქმედებითს საკითხებს. ამხ. ფადეევმა უამბო ყრილობას, თუ როგორ გარდაიქმნა მოსკოვში, ლენინგრადში, უკრაინაში და სხვაგან მწერალთა კავშირის მუშაობა, როგორ დაინერგა კავშირის მუშაობაში მეტი დემოკრატიზმი და კოლეგიალობა. ასევე უნდა გარდაიქმნას მწერალთა კავშირის მუშაობა საქართველოში. შემოქმედებითი ოსტატობის ამაღლებით ქართველი მწერლები შექმნიან საკავშირო მნიშვნელობის ნაწარმოებებს, რომლებიც კიდევ უფრო აამაღლებენ ჩვენი ქვეყნის სახელს, იმ ქვეყნის სახელს, რომელიც ლენინ-სტალინის დროშით წინ მიუძღვება მშრომელთა მსოფლიოს.

ყრილობაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი პროპაგანდის დარგში ამხ. **ი. თავაძე.** მან შეაჯამა საქართველოს საბჭოთა ლიტერატურის მიღწევები უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში და ყრილობის ყურადღება შეაჩერა იმ უარყოფით მხარეებზე, რომლებიც ჯერ კიდევ აქვს ჩვენს მწერლობას. ძირითადი აქ ოსტატობის, ხარისხის საკითხია. ამხ. ი. თავაძემ აღნიშნა, რომ ფორმალიზმისა და ნატურალიზმის ნაშთები კიდევ მოიპოვებათ ჩვენს მწერლებს და საილუსტრაციოდ წაიკითხა ადგილები მოწინავე პოეტებისა და პროზაიკოსების ნაწარმოებებიდან. მან ხაზი გაუსვა მხატვრულ ერთფეროვნებას, რომელიც უკანასკნელი წლების პოეტურ პროდუქციას ახასიათებს, და დაასახელა ფაქტები. მან აღნიშნა, რომ მწერლებს შორის მტკიცედ უნდა დაინერგოს ბოლშევიკური თვითკრიტიკა. უნდა ამაღლდეს მიუდგომელი, სამართლიანი ლიტერატურული კრიტიკა, აღმოიფხვრას ყოყოჩობა და ქედმაღლობა. მეტი ზრუნვა უნდა გამოვიჩინოთ მწერლობაზე და ვიმუშაოთ ლიტერატურულ ოსტატობის ამაღლებისათვის. დასასრულ, ამხ. ი. თავაძემ ილაპარაკა მწერალთა კავშირის გაშლილ მუშაობასა და იმ ღონისძიებებზე, რომელთა გატარება უზრუნველჰყოფს ჩვენი მწერლობის ახალ წარმატებებს და კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აყვანას.

---

*) იბეჭდება შემოკლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანიმუშოდ ჩავატაროთ საბჭოების ადგილობრივი ორგანოების არჩევნები

კიევის ოლქის ეკატერინოპოლის რაიონის მშრომელთა პასუხი საქართველოს სსრ გორის რაიონის მშრომელთა წერილზე

ძვირფასო ამხანაგებო!

შევიკრიბენით რა მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა თქვენი წერილის განხილვას, სადაც წინადადებას გვაძლევთ დავიწყოთ სოციალისტური შეჯიბრება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საუკეთესოდ მომზადებისა და ჩატარებისათვის, გიძღვნით ბოლშევიკურ სალამს.

თქვენი წერილის განხილვა ხდება იმ დღეებში, როდესაც სახელოვანი წითელი არმია საბჭოთა მთავრობის დავალებით ასრულებს დიად განმათავისუფლებელ ამოცანას, იცავს რა დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მოსახლეობას. საბჭოთა მთავრობის მეთაურის ვიაჩესლავ მიხეილის-ძე **მოლოტოვის** მიერ რადიოთი წარმოთქმულმა სიტყვამ დიდი შრომითი აღმავლობა გამოიწვია ხალხში. ყველა გამოსვლები მიტინგებზე, რომლებიც შესდგა რაიონის საწარმოებსა და კოლმეურნეობებში, გამსჭვალული იყო ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ჩვენი სახელოვანი წითელი არმიისადმი, კომუნისტური პარტიისადმი, დიდ ბელად ამხანაგ **სტალინისადმი** უსაზღვრო სიყვარულით.

საბჭოთა კავშირის ხალხები ხელიხელჩაკიდებულნი, ძმურ თანამეგობრობაში აშენებენ თავიანთ საამურ, ბედნიერ, შეძლებულ ცხოვრებას.

ჩვენი პარტიისა და მთავრობის სტალინური მზრუნველობის შედეგად საბჭოეთის მშრომელთა ცხოვრება ისე შეიცვალა, რომ მას ველარ იცნობ. ჩვენს ეკატერინოპოლის რაიონში 29 მსხვილმა კოლმეურნეობამ სამუდამო სარგებლობაში მიიღო 43.235 ჰექტარი კარგი ნაყოფიერი მიწა. ჩვენს საკოლმეურნეო მინდვრებზე მუშაობს 166 ტრაქტორი, 37 კომბაინი. წლითი-წლობით სულ უფრო და უფრო დიდ მოსავალს ვიღებთ.

საგაზაფხულო თესვა ჩავატარეთ 5-6 სამუშაო დღეში, მაღალ აგროტექნიკურ დონეზე. ტრაქტორისტი ორდენოსანი ელიზარ ჩერნიენკო მუდამ 220 პროცენტით ასრულებდა ნორმას, ორდენოსანმა დემენტი რაკმა თავისი სატრაქტორო აგრეგატით დასთესა 38 ჰექტარი, მაშინ როდესაც ნორმა 24 ჰექტარი იყო. სოციალისტური შრომის ასეთი ენტუზიასტები ჩვენ ასობით და ათასობით გვყავს.

ჩვენ კარგად გავართვით თავი მოსავლის აღებას. კომბაინებით მოსავლის აღების სახელმწიფო გეგმა შევასრულეთ 116 პროცენტით. ჩვენმა რაიონმა წელს კიევის ოლქში პირველმა ვადაზე ადრე შეასრულა სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმა. კოლმეურნეობებმა მთლიანად გაუსწორეს ანგარიში სამანქანო-სატრაქტორო სადგურს მომსახურებისათვის, გარდა ამისა, სახელმწიფოს მიჰყიდეს 180 ათასი ფუთი გარდამეტი პური.

საშემოდგომო კულტურების თესვა დავამთავრეთ 10 სექტემბერს. ჩვენმა 144 ჯგუფმა გამოიყენა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გადმოღებული საუცხოო გამოცდილება და დასთესა 1.750 ჰექტარი სარეკორდო მოსავლის ცნობილი ნოვატორის ეფრემოვის მეთოდით.

სტალინური ეპოქის საუცხოო ადამიანები აღზარდა სოციალისტურმა შრომამ. ჩვენ გვყავს სოფლის მეურნეობის 14 ორდენოსანი მოწინავე. წარჩინებულმა კოლმეურნე ქალმა, სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილემ, ორგზის ორდენოსანმა მარიამ ანანიას-ასულმა მარჩუკმა არტელ „ვლენინის" მეღორეობის ფერმაში სანიმუშო მუშაობით 1937-1938 წლებში მიაღწია თვითეულ დედა-ღორზე 28 საქმიანი გოჭი ნამატის მიღებას. მიმდინარე წლის სამ კვარტალში მან უკვე მიიღო 29 საქმიანი გოჭი ყოველ დედა - ღორზე, ხოლო წლის დამლევისათვის იკისრა ვალდებულება მიაღწიოს 34 საქმიანი გოჭის მიღებას თვითეულ დედა-ღორზე. კომბაინერმა ემელიან ნიკიფორის-ძე სავრანსკიმ იკისრა ვალდებულება აეღო კომბაინ-სათში აგრეგატით 500 ჰექტარი, რაც მან ბრწყინვალედ შეასრულა.

საუცხოოდ იფურჩქნება ჩვენი რაიონის კულტურა. ჩვენ გვაქვს 25 სკოლა, რომლებშიაც სწავლობს 7.080 მოწაფე. იქ მუშაობს საბჭოთა პედაგოგების მტკიცე კოლექტივი 270 პედაგოგის შემადგენლობით, მათ შორის 90 კაცს დამთავრებული აქვს უმაღლესი სასწავლებელი.

კოლმეურნენი დიდ მოთხოვნილებას აყენებენ სამხატვრო - პოლიტიკურ ლიტერატურაზე. გვაქვს ათობით ბიბლიოთეკები, მუშაობს 23 კლუბი. ვცხოვრობთ ბედნიერი საამური ცხოვრებით. ეს ცხოვრება მოგვცა ლენინ-სტალინის პარტიამ, კაცობრიობის დიდმა გენიოსმა **სტალინმა.** ამიტომაც მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დროს ჩვენს ხმებს მივცემთ კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის კანდიდატებს.

ვემზადებით რა არჩევნებისათვის, დავსახეთ მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი მოსახლეობაში მასობრივ - საგიტაციო მუშაობის გაცხოველებისათვის. მოსახლეობაში შექმნილია 33 აგიტკოლექტივი, რომლებშიაც მუშაობს 402 აგიტატორი.

ამხანაგო გორელებო! სიხარულით ვღებულობთ თქვენს გამოწვევას სოციალისტურ შეჯიბრებაში. ვკისრულობთ ვალდებულებას არჩევნები ჩავატაროთ ჩინებულად, მივაღწიოთ იმას, რომ რაიონში არ იყოს არცერთი ისეთი მშრომელი, რომელმაც არ შეისწავლოს სტალინური საარჩევნო კანონი. ადგილობრივ საბჭოებში ავირჩევთ ჩვენი სამშობლოს საუკეთესო შვილებს, იმ ადამიანებს, რომლებიც თავგანწირულად იმუშავებენ ლენინ-სტალინის დიადი საქმისათვის.

არჩევნების დღეს აღვნიშნავთ დიდი საწარმოო გამარჯვებებით. ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს: სანიმუშო ხვნა დავამთავროთ 20 ოქტომბრამდე, შაქრის ჭარხლის ამოღება—25 ოქტომბრამდე, გაზიდვა—30 ოქტომბრამდე, ტრაქტორების რემონტი დავამთავროთ 1940 წლის 15 იანვრამდე.

ვატარებთ რა ცხოვრებაში სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებას „კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ", მთლიანად ვაკომპლექტებთ ჩვენს საკოლმეურნეო ფერმებს, უზრუნველვყოფთ პირუტყვს გამოზამთრებისათვის მაღალხარისხოვანი საკვებით და თბილი ბინებით. თავის დროზე მოვემზადებით 1940 წლის საგაზაფხულო თესვისათვის. უზრუნველვყოფთ მარცვლეული კულტურების მოსავალს არანაკლებ 18 ცენტნერისა, შაქრის ჭარხლის მოსავალს—არანაკლებ 250 ცენტნერისა ჰექტარზე.

ამავე დროს ვაძლიერებთ თავდაცვითს მუშაობას. ყოველ სოფელში ვაწყობთ თავდაცვის სახლს.

ამხანაგო გორელებო! 1937 წლის 12 დეკემბერს და 1938 წლის 26 ივნისს ეკატერინოპოლშჩინის მშრომელებმა კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებისათვის ერთსულოვნად ხმის მიცემით გვიჩვენეს თავისი მორალურ - პოლიტიკური ერთიანობა საბჭოების ქვეყნის ყველა ხალხთან, თავისი უსაზღვრო ერთგულება ლენინ - სტალინის პარტიისადმი, თავისი მზადყოფნა იბრძოლონ კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მომავალ არჩევნებში ისინი ერთხელ კიდევ უჩვენებენ მთელ მსოფლიოს სსრ კავშირის ხალხთა ურღვევ სტალინურ მეგობრობას, ჩვენს მონოლიტობას და ფოლადისებურ შემჭიდროებას საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, ჩვენს მუდმივ მზადყოფნას გავამრავლოთ ჩვენი საყვარელი სოციალისტური სამშობლოს წარმატებანი.

ჩვენ ერთი წუთითაც არ დავივიწყებთ ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის მითითებებს კაპიტალისტური გარემოცვის შესახებ. დღითიდღე უფრო და უფრო განვამტკიცებთ ჩვენი სამშობლოს თავდაცვით უნარიანობას, ყოველთვის სავსებით მზად ვიქნებით და, თუ მტერი გაბედავს ხელჰყოს ჩვენი აყვავებული ცხოვრება, წმინდათა-წმინდა საბჭოთა მიწა-წყალი, ჩვენ მას სავსებით გავანადგურებთ მისსავე ტერიტორიაზე.

გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა სტალინურ მეგობრობას!

გაუმარჯოს სრულიად - საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას)!

გაუმარჯოს ჩვენს მზეს, ჩვენს მშობლიურ დიდ **სტალინს!**

კრების დავალებით: **მ. მარჩუკი,** ორგზის ორდენოსანი; **ა. ცერკოვნაია,** ჯგუფის ხელმძღვანელი ჭარხლის დარგში; **კ. პოლიშჩუკი,** ჯგუფის ხელმძღვანელი ჭარხლის დარგში; **ე. სავრანსკი,** ორდენოსანი კომბაინერი; **ლ. კორობკო,** ორდენოსანი მასწავლებელი ქალი; **პ. პიატინჩუკი,** კოლმეურნეობის თავმჯდომარე; **ს. დვორნიკოვი,** ორდენოსანი, უკრაინის კ. პ. (ბ) ეკატერინოპოლის რაიკომის მდივანი; **კ. ზაეერიუხა,** ჯგუფის ხელმძღვანელი მარცვლეულის დარგში; **ა. მაქსიმენკო,** სოფლსაბჭოს თავმჯდომარე; **ო. გურასიმჩუკი,** საშუალო სკოლის დირექტორი; **მ. ბოიჩენკო,** რაიონული გაზეთის რედაქტორი; **მ. ხრიპუშინი,** სახალხო განათლების განყოფილების გამგე; **ვ. კოლომიეცი,** კოლმეურნეობის თავმჯდომარე; **ნ. ივასენკო** — ჯგუფის ხელმძღვანელი ქალი ჭარხლის დარგში, ათასოვანი; **ს. ზაკლიოპა,** რაიაღმასკომის თავმჯდომარე; **ფ. პოლიშჩუკი** — მტს-ს დირექტორი და სხვ.

პარტიული ცხოვრება

ბოლშევიკურად აღვზარდოთ პარტიის წევრობის კანდიდატები

პარტკანდიდატები იწრთობიან პრაქტიკულ სამუშაოებზე

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას სახელობის რაიკომმა საგრძნობლად გააუმჯობესა მუშაობა პარტიის წევრობის კანდიდატებთან. პარტრაიკომის ბიურო ხშირად იხილავს პარტიის წევრობის კანდიდატებთან მუშაობის საკითხებს. რაიკომის ინსტრუქტორების საშუალებით ხდება ცალკეული პირველადი პარტორგანიზაციების მუშაობის შემოწმება და შემჩნეულ ნაკლოვანებების გამოსასწორებლად იქვე სახავენ პრაქტიკულ ღონისძიებებს.

პარტრაიკომმა პარტიის წევრობის კანდიდატებს შორის მუშაობის კიდევ უფრო გაუმჯობესების მიზნით 25 აგვისტოს ჩაატარა პარტიის წევრობის კანდიდატების რაიონული თათბირი. თათბირმა, რომელსაც 481 კაცი ესწრებოდა, მოისმინა ცენტრალური ტელეგრაფის პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივნის ამხ. ცაგარეიშვილის, თბილისის საბჭოს პირველადი პარტორგანიზაციის მდივნის ამხ. ხომერიკის, საქ. ფინსახკომის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის ამხ. ლოლომაძის და კარტოგრაფიის ფაბრიკა № 8-ის პირველადი პარტორგანიზაციის მდივნის ამხ. ბოგდანოვის მოხსენებანი პარტიის წევრობის კანდიდატებთან მუშაობის შესახებ.

მოხსენებათა შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ პარტიის წევრობის კანდიდატები და პარტბიუროების მდივნები, რომლებმაც მიღწევებთან ერთად აღნიშნეს სერიოზული ნაკლოვანებანიც. ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ მუშაობს პარტიის წევრობის კანდიდატებთან.

ცენტრალური ტელეგრაფის პირველადს პარტორგანიზაციაში პარტიის წევრობის 27 კანდიდატი ირიცხება. აქედან 5 კაცს არა აქვს პარტიული დავალება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი კანდიდატი სუსტად იბრძვის პარტიული დავალების შესრულებისათვის. პარტიის წევრობის კანდიდატი ამხ. კალმახელიძე პარტორგანიზაციის მიერ გამოყოფილია აგიტატორად. მაშინ, როცა მოწინავე აგიტატორებმა ხაჩატურიანმა, ნასყიდაშვილმა და სხვებმა საუკეთესოდ მოაწყეს თავიანთი მუშაობა, კალმახელიძეს არც კი უფიქრნია პარტიული დავალების შესრულებაზე. იგივე ითქმის კანდიდატების ვეფხვაძის, ჩხეიძისა და სხვათა შესახებ.

ყველაფერი ეს გამოწვეულია იმით, რომ პარტორგანიზაციის ბიურო იშვიათად ახდენს დავალებათა შესრულების შემოწმებას. პარტბიუროს მდივანი არ უნდა კმაყოფილდებოდეს მხოლოდ დავალებათა მიცემით, საჭიროა დავეხმაროთ ყველა კანდიდატს მიცემულ დავალებათა ღირსეულად შესრულებისათვის.

აქ ნაკლებად იბრძვიან პარტიის წევრობის კანდიდატების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის. თითქმის არცერთი კანდიდატი არ გაცილებია „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" მეოთხე თავის შესწავლას. იშვიათად ტარდება თეორიული ლექციები, არ ზრუნავენ თეორიული კონფერენციების მოწყობაზე და ა. შ.

ცენტრალური ტელეგრაფის პარტორგანიზაციაში ირიცხებიან სტაჟგადაცილებული კანდიდატები. პარტორგანიზაციის ბიურო ნაკლებად ეხმარება სტაჟგადაცილებულებს — გახდნენ ლენინ-სტალინის პარტიის ღირსეული წევრები.

არც თბილისის საბჭოს პარტორგანიზაციაშია კარგი მდგომარეობა. აქაც ზოგიერთ კანდიდატს მიცემული არა აქვს პარტიული დავალება.

გარდა ამისა, სიტყვებით გამოსული ამხანაგები უსაყვედურებდნენ რაიკომის ბიუროს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ჭიანურდება პარტიაში მისაღებთა განცხადებების განხილვა.

მ. თევზაძე

თბილისის საარტილერიო სასწავლებელში. უმცროსი პოლიტხელმძღვანელი ი. მ. დიკი და პოლკოვნიკი ნ. ფ. კოსტრიცკი სასწავლებლის პარტკაბინეტში მეცადინეობენ საკ. კ. პ. (ბ) ისტორიაში.

ფოტო ბუდეშტსკისა (საქდესის ფოტოქრონიკა)

საკანდიდატო სტაჟი კანდიდატის სერიოზული შემოწმებაა

საკანდიდატო სტაჟის გავლის დროს ხდება პარტიის წევრობის კანდიდატის სერიოზული შემოწმება, ღირსია თუ არა იგი ბოლშევიკური პარტიის წევრის მაღალი სახელწოდებისა. ამიტომ საკანდიდატო სტაჟის გავლა ფორმალური საქმე როდია. ამ დროს კანდიდატმა საფუძვლიანად უნდა შეითვისოს საკ. კ. პ. (ბ) წესდება და პროგრამა, ხოლო პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა შესძლოს კანდიდატის შესწავლა მისი პირადი თვისებების მიხედვით.

რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიონში? როგორ ზრდიან პარტიული ორგანიზაციები კანდიდატებს, პარტიის მომავალ წევრებს? ამ კითხვაზე პასუხი მოგვცა კანდიდატთა რაიონულმა თათბირმა, რომელიც 26 სექტემბერს ჩატარდა.

თათბირმა, რომელსაც რაიკომის მდივანი ამხ. პ. მჭედლიძე ხელმძღვანელობდა, მოისმინა თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პარტბიუროს მდივნის ამხ. ძნელაძის, გაზ. „კომუნისტის" რედაქციისა და სტამბის პარტბიუროს მდივნის მოადგილის ამხ. ნაზარეტიანისა და ღვინის ქარხანა № 1-ის პარტბიუროს მდივნის ამხ. როთველაძის მოხსენებანი პარტიის წევრობის კანდიდატებთან მუშაობის საკითხზე.

როგორც მოხსენებებიდან, ისე სიტყვებიდან გამოირკვა, რომ XVIII პარტყრილობის შემდეგ ორჯონიკიძის რაიონში რამდენადმე გაუმჯობესდა ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდა. კანდიდატები დაუღალავად მუშაობენ თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, ჩაბმული არიან საზოგადოებრივ მუშაობაში. სიყვარულით და პასუხისმგებლობის ღრმა გრძნობით ასრულებენ დავალებებს და აქტიურ მონაწილეობას იღებენ კომუნიზმის მშენებლობაში. ამის საუკეთესო ილუსტრაცია იყო ამ თათბირზე აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის სტახანოველი ქალის, პარტკანდიდატის ამხ. მამაჯანოვას გამოსვლა. მან თათბირის მონაწილეთ მოუთხრო, თუ როგორ სწავლობს დამოუკიდებლად „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს". მას წაუკითხავს ლენინის შესანიშნავი ნაშრომები: „რა ვაკეთოთ?", „რანი არიან „ხალხის მეგობრები" და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ" და სხვ. ამხ. მამაჯანოვა სისტემატურად დადის კონსულტაციებზე პარტკაბინეტში, მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალში, ამასწინათ მან ფაბრიკაში წაიკითხა თეორიული ლექცია, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა. იგი სანიმუშოდ ასრულებს პარტიულ დავალებებს, ფაბრიკაში მოწინავე სტახანოველია.

სამტრესტის პარტორგანიზაციაში პარტიის წევრობის კანდიდატები ამხ. კვაჭაძე და აბესაძე წინათ თავისთავზე არ მუშაობდნენ, დავალებებს ვერ ასრულებდნენ. პარტიული ორგანიზაციის დახმარებით ისინი ამჟამად მოწინავენი არიან, საუკეთესოდ ატარებენ აგიტაციას დიასახლისებში ადგილობრივი საბჭოების მომავალი არჩევნების დებულების გარშემო. მიუხედავად ამ წარმატებებისა, რაიონში ბევრია ისეთი პარტიული ორგანიზაცია, რომელიც ჯერ კიდევ სუსტად მუშაობს პარტიის წევრობის კანდიდატების ბოლშევიკურად აღზრდისათვის. ამას ის ფაქტიც მოწმობს, რომ რაიონში დღეისათვის 329 სტაჟგადაცილებული კანდიდატი ირიცხება.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცენტრალური არქივის, სამასწავლებლო ინსტიტუტის, „კომუნისტის" რედაქციისა და სტამბის და სხვა პარტიულ ორგანიზაციებში ყველა კანდიდატს არა აქვს პარტიული დავალება, ხშირად არ იწვევენ კანდიდატთა თათბირებს, სისტემატურად არ ამოწმებენ დავალებათა შესრულებას, კანდიდატები ნაკლებად მუშაობენ თავის-თავზე.

თათბირზე შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი ამხ. შ. ჯაფარიძე, რომელმაც სამართლიანად გააკრიტიკა რაიონის მთელი რიგი პარტორგანიზაციების ხელმძღვანელობა პარტიის წევრობის კანდიდატებისადმი. ამხ. ჯაფარიძე თავის სიტყვაში განსაკუთრებით შეჩერდა ახალგაზრდა კომუნისტების იდეური აღზრდის საკითხებზე, კერძოდ ამ საქმეში რაიონის პარტიული ორგანიზაციების უახლოეს ამოცანებზე.

კიროვის რაიონის პარტკანდიდატთა თათბირზე

ამ დღეებში ლ. ბერიას სახელობის კულტურის სახლში ჩატარდა კიროვის რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბიუროების მდივნების, მათი მოადგილეების და პარტიის წევრობის კანდიდატების სარაიონო თათბირი.

პარტიის წევრობის კანდიდატებთან აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობის შესახებ მოსმენილ იქნა „მკერავის" № 2 ფაბრიკის პირველადი პარტორგანიზაციის ბიუროს მდივნის ამხ. გ. ფირუმოვას, ტყავის ქარხანა № 1-ის პირველადი პარტორგანიზაციის ბიუროს მდივნის მოადგილის ამხ. შირაზიანის და თბილვაჭრობის პირველადი პარტორგანიზაციის ბიუროს მდივნის ამხ. სიხარულიძის მოხსენებანი.

მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს პარტიის წევრობის კანდიდატებმა, პირველადი პარტორგანიზაციების ბიუროების მდივნებმა და სხვ. — სულ 15 ამხანაგმა. თათბირზე გამოირკვა, რომ მიუხედავად ერთგვარი წარმატებებისა, ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ახალგაზრდა კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური აღზრდა. „მკერავის" № 2 ფაბრიკაში პარტწევრობის 50 კანდიდატს უკვე გაუთავდა საკანდიდატო სტაჟი, მაგრამ ისინი დღემდე გადაყვანილი არ არიან პარტიის წევრებად, პარტბიურო არ ატარებს კანდიდატებთან თათბირებს, კანდიდატთა შორის ბევრია წერა-კითხვის მცირემცოდნე. ყველა კანდიდატს მიცემული არა აქვს პარტიული დავალება, ხოლო ვისაც აქვს, ისიც ფორმალურ ხასიათს ატარებს. მაგალითად, მოსესოვას პარტიულ დავალებად მიცემული აქვს წითელი ჯვრის ორგანიზაციის საწევრო ანარიცხების აკრეფა, ალიევა გამოყოფილია უბანში აგიტატორად, მაშინ როცა ის მცირემცოდნეა და თვითონ ვერ ერკვევა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულებაში.

უკეთესი მდგომარეობა არც საქ. ტრიკოტაჟის ფაბრიკაშია, აქ პარტწევრობის 19 კანდიდატი წერა-კითხვის მცირემცოდნეა, 8 კანდიდატს მიცემული არა აქვს პარტიული დავალება. პარტიული ორგანიზაცია არავითარ აღმზრდელობით მუშაობას არ ეწევა კანდიდატებთან, ამიტომაც ხშირია შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები, კანდიდატები ვერ ახორციელებენ ავანგარდულ როლს წარმოებაში, რის გამო ქარხანა დღემდე ვერ გამოვიდა სამარცხვინო გარღვევიდან.

კამოს სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაში 36 კანდიდატს უკვე გაუთავდა საკანდიდატო სტაჟი. პარტბიუროში პარტკანდიდატთა საქმეები თვეობით განუხილველად აწყვია, თვით პარტბიუროს მდივანი ამხ. იუზეფოვიჩი ამას უყურადღებოდ ეკიდება. პარტკანდიდატები ზოგჯერ პარტკრებებსაც კი არ ესწრებიან.

დავეხმაროთ ახალგაზრდა კომუნისტებს დავალების შესრულებაში

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახელობის რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში პარტიის წევრობის კანდიდატებთან მუშაობას ჯერ კიდევ ბევრი სერიოზული ნაკლი ახასიათებს.

კანდიდატთა დიდი უმრავლესობა გულმოდგინედ სწავლობს საკ. კ. პ. (ბ) ისტორიას, ესწრება თეორიულ ლექციებს, კონსულტაციებს, გამოდის მოხსენებით თეორიულ კონფერენციებზე და სხვ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკიდან კანდიდატებმა ამხ. შეიფლერმა, მელნიკოვამ და არუთინოვმა თათბირს უამბეს, რომ ბეჯითად სწავლობენ ბოლშევიზმის გმირულ ისტორიას, ადგენენ კონსპექტებს, — წაიკითხეს ლენინის შრომები „რა ვაკეთოთ?", „რანი არიან „ხალხის მეგობრები" და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ", „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" და სხვ., მაგრამ ეს ამხანაგები ამავე დროს ფაბრიკის პარტბიუროს მისამართით სამართლიან საყვედურს გამოსთქვამდნენ იმის გამო, რომ ფაბრიკასთან არსებული პარტკაბინეტი სუსტ დახმარებას უწევს ამხანაგებს, რომლებიც დამოუკიდებლად მუშაობენ პარტიის ისტორიის შესწავლისათვის. პარტკაბინეტის მუშაკებმა ისიც კი ვერ შესძლეს, რომ პარტიული ლიტერატურის კატალოგი შეედგინათ, ხოლო კონსულტაცია-საუბრების მოწყობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

მთელმა რიგმა პარტიულმა ორგანიზაციებმა (ხორცკომბინატი, მაკარონის ფაბრიკა, „ზაგოტზერნო", წისქვილკომბინატი, ტრამვაის პარკი და სხვ.) ვერ უზრუნველჰყვეს თეორიული კონფერენციების მომზადება, ან წინასწარ მოუმზადებლად ჩაატარეს. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკაში თეორიული კონფერენცია უფერულად ჩატარდა. ეს გასაგებიცაა, რადგან ახალგაზრდა კომუნისტებს შეურჩიეს ისეთი დიდი და სერიოზული თემა, როგორიც არის „დიალექტიკა და მეტაფიზიკა". ჩვენ, რასაკვირველია, ფაბრიკის კომუნისტებს თეორიის დაუფლების რწმენას არ ვუკარგავთ, მათ აუცილებლად შეუძლიათ დასძლიონ თემა.

პარტიული დავალება ახალგაზრდა კომუნისტთა აღზრდის ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა, მაგრამ ზოგჯერ საქმის ამ მხარეს ყურადღება არ ექცევა. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკაში, ხორცკომბინატში, მაკარონის ფაბრიკაში, წისქვილკომბინატში, „ზაგოტზერნოსა" და სხვა ორგანიზაციებში პარტიის წევრობის კანდიდატთა შორის დავალებებს სწორად არ ანაწილებენ. პარტკანდიდატს შეიფლერს (ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკა) სამი დავალება აქვს მაშინ, როდესაც პარტიის წევრობის 25 კანდიდატისათვის სრულებით არ მიუციათ პარტიული დავალება.

მაგრამ დავალების მიცემაც არ არის მთავარი. საქმე ის არის, რომ დავეხმაროთ კანდიდატებს დავალების შესრულებაში, და, ბოლოს, მოვახდინოთ შესრულების შემოწმება. უნდა ითქვას, რომ რაიონის ბევრ ორგანიზაციაში ეს საქმეც მივიწყებულია.

პ. ჭიოკაძე

პირველი ინტერნაციონალი

(1864—1939 წ. წ.)

პირველი ინტერნაციონალის შექმნა მობრუნების პუნქტი გახდა საერთაშორისო პროლეტარულ მოძრაობაში. ის იყო პროლეტარიატის პირველი მასობრივი საერთაშორისო დამოუკიდებელი პარტია, რომელმაც თავისი თავი დაუპირდაპირა ყველა ბურჟუაზიულ პარტიებს. ინტერნაციონალმა დაიწყო ბრძოლა ახალი წყობილებისათვის, პროლეტარიატის დიქტატურისათვის. მან „იდეური საფუძვლები ჩაუყარა საერთაშორისო პროლეტარულ ბრძოლას სოციალიზმისათვის" (კომინტერნის პროგრამა). მან აღმართა და წინ წაიღო მუშათა კლასის დიადი ბრძოლის დროშა, კომუნიზმის დროშა.

ინტერნაციონალის ჩამოყალიბებას წინ უძღოდა დიდი პოლიტიკური მოვლენები: სამოქალაქო ომი ამერიკის შეერთებულ შტატებში მონობის მოსპობისათვის, რაც 1861 წელს დაიწყო, აჯანყება პოლონეთში 1863 წელს, 1857-1866 წ.წ. სამრეწველო კრიზისი, რომელმაც უდიდესი გაჭირვება მოუტანა მშრომელთ.

○

1864 წლის 28 სექტემბერს ლონდონში შეიკრიბა დიდი მიტინგი, რომელსაც ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიისა და სხვა ქვეყნების მუშათა წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მიტინგზე წაკითხულ იქნა საფრანგეთის მუშების მიმართვა, რომელშიაც ისინი სწერდნენ:

„ყველა ქვეყნის მუშებო, ჩვენ უნდა გავერთიანდეთ, იმისათვის, რომ დავუპირდაპიროთ გადაულახავი დაბრკოლება დამღუპველ სისტემას, რომელიც მიისწრაფვის გაჰყოს კაცობრიობა ორ კლასად: უმეცარ, მშიერ ბრბოდ და ჩასუქებულ ბღენძ მანდარინებად" (ახალი ისტორია დოკუმენტებსა და მასალებში, ტ. II, გვ. 241).

ამავე მიტინგზე გადასწყდა მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის ჩამოყალიბება. არჩეულ იქნა დროებითი კომიტეტი, რომელშიაც შევიდა კ. მარქსიც, როგორც გერმანელი მუშების წარმომადგენელი, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ მიღებულ იქნა მარქსის მიერ შედგენილი „წესდება" და „დამფუძნებელი მანიფესტი".

„წესდებასა" და „დამფუძნებელ მანიფესტში" მარქსმა გამოსთქვა ის იდეები, რომლებიც წამოყენებული იყო „კომუნისტურ მანიფესტში": მუშათა მოძრაობის ძირითადი ამოცანა უნდა იყოს შექმნა პროლეტარიატის კლასობრივი ორგანიზაციისა, რომელიც დამოუკიდებელი უნდა იყოს სხვა კლასებისაგან. პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის საბოლოო მიზნად მარქსი სახავდა სოციალიზმის გამარჯვებას, ხოლო საშუალებად — პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობას.

პირველი ინტერნაციონალი სათავეში ჩაუდგა რევოლუციური მასების მისწრაფებას საერთაშორისო გაერთიანებისაკენ, ინტერნაციონალური სოლიდარობისაკენ ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ის იყო პირველი საერთაშორისო პროლეტარული პარტია, ის იყო რისხვა მთელი კაპიტალისტური სამყაროსათვის. კონტინენტური ევროპის ყველა მთავრობას თავზარი დასცა მუშათა ამ მძლავრმა ორგანიზაციამ. როგორც კ. მარქსი სწერდა, რომის პაპი და მისი ეპისკოპოსები სწყევლიდნენ ინტერნაციონალს, საფრანგეთის პარლამენტმა ის კანონგარეშე გამოაცხადა, ბისმარკი მას სამღვთო კავშირის ჯვაროსნული ლაშქრობით ემუქრებოდა, რუსეთის მეფემ კი ინტერნაციონალზე „ზრუნვა" თავის „მესამე განყოფილებას" მიანდო.

I ინტერნაციონალს უაღრესად მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა. ის სისტემატურად განიცდიდა დევნას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ინტერნაციონალმა მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი და განსაკუთრებული ადგილი დაიკავა მუშათა რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში.

მარქსი და ენგელსი ინტერნაციონალის შიგნით ეწეოდნენ შეურიგებელ ბრძოლას ყოველგვარ ანტიპროლეტარულ მიმდინარეობასთან მუშათა მოძრაობაში.

გერმანიაში ამ დროს დიდი წარმატება ჰქონდათ ლასალიანელებს, რომლებიც ამტკიცებდნენ, პროლეტარიატს შეუძლია აიღოს ძალაუფლება მშვიდობიანი გზით, საყოველთაო საარჩევნო უფლების საშუალებით. I ინტერნაციონალმა შეუპოვარი ბრძოლა მოაწყო მათ წინააღმდეგ, ვინაიდან ლასალიანელებს მუშათა კლასი ბურჟუაზიასთან თანამშრომლობისაკენ მიჰყავდათ.

საფრანგეთში I ინტერნაციონალი ებრძოდა პრუდონისტებს, რომლებიც უარჰყოფდნენ პროლეტარიატის დამოუკიდებელი პოლიტიკური ბრძოლისა და მის მიერ ძალაუფლების დაპყრობის საჭიროებას. პრუდონისტები წინააღმდეგი იყვნენ პროფესიული კავშირების მოწყობისა და საყოველთაო გაფიცვებისა. ისინი ფიქრობდნენ კაპიტალისტური სისტემის დაუნგრევლად მიეღწიათ მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის კოოპერირების გზით.

მუშათა მოძრაობას უდიდეს ზიანს აყენებდნენ ბაკუნინი და ბაკუნისტები. ისინი პრუდონის საქმის განმგრძობნი იყვნენ. ბაკუნინი არ სცნობდა სახელმწიფოს, კერძოდ არც პროლეტარულ სახელმწიფოს, და წინააღმდეგი იყო პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობისა, მაშასადამე, იგი უარჰყოფდა პროლეტარიატის დიქტატურას — ძირითადს და მთავარს მარქსის მოძღვრებაში. კ. მარქსი სასტიკ ბრძოლას აწარმოებდა ბაკუნისტთა — მასებისაგან მოწყვეტილ ამ ერთ მუჭა შეთქმულთა წინააღმდეგ და მან მიაღწია იმას, რომ ბაკუნინი და მისი თანამოაზრენი გარიცხულ იქნენ I ინტერნაციონალიდან.

„აერთიანებდა რა სხვადასხვა ქვეყნების მუშათა მოძრაობას, ცდილობდა რა საერთო მოქმედების კალაპოტში წარემართა არაპროლეტარული, მარქსიზმამდელი სოციალიზმის სხვადასხვა ფორმები (მაძინი, პრუდონი, ბაკუნინი, ინგლისური ლიბერალური ტრედ-უნიონიზმი, ლასალიანური მერყეობა მარჯვნივსაკენ გერმანიაში და სხვ.), ებრძოდა რა ყველა ამ სექტისა და სკოლის თეორიებს, მარქსი სჭედდა სხვადასხვა ქვეყნებში მუშათა კლასის პროლეტარული ბრძოლის ერთიან ტაქტიკას" (ლენინი, ტ. XVIII, გვ. 7).

პარიზის კომუნის დროს 1871 წ. I ინტერნაციონალი ყველა შესაძლებელი გზით ეხმარებოდა მას. მარქსი და ენგელსი კომუნარებს აძლევდნენ რჩევა-დარიგებას, თუ როგორ დაეცვათ პარიზი, ურჩევდნენ გადასულიყვნენ შეტევაზე ვერსალის წინააღმდეგ, სადაც თავი მოიყარა კონტრრევოლუციურმა ბურჟუაზიამ, გზავნიდნენ დიდძალ წერილებს სხვადასხვა ქვეყნებში, მოუწოდებდნენ პროლეტარიატს კომუნარებისადმი სოლიდარობისა და დახმარებისაკენ.

კომუნას, რომელმაც მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა გადაშალა, მარქსი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს პირველსახეს.

პარიზის კომუნის დაცემის შემდეგ მარქსმა ინტერნაციონალის სახელით დასწერა მანიფესტი „სამოქალაქო ომის გამო საფრანგეთში", რომელშიაც ულმობლად ამათრახებდა კომუნართა ჩამხრჩობ ჯალათებს და ცხადჰყოფდა კომუნის დიად მნიშვნელობას.

პარიზის კომუნის გამოცდილების მიხედვით მარქსმა განავითარა თავისი უკვდავი მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ. იგი მიუთითებდა, რომ მუშათა კლასს არ შეუძლია პირდაპირ აიღოს მზა სახელმწიფო მანქანა და აამოქმედოს იგი თავისი საკუთარი მიზნებისათვის, რომ საჭიროა ჯერ დაანგრიოს ეს მანქანა ხოლო მის ადგილზე დააყენოს სახელმწიფო ხელისუფლების ახალი ტიპი — პროლეტარიატის დიქტატურა.

პარიზის კომუნის დამარცხების შემდეგ გაცოფებულმა ბურჟუაზიამ დაიწყო ინტერნაციონალის მოღვაწეთა და წევრთა დევნა. ამასთანავე 1872 წელს დაიწყო ძლიერი სამრეწველო კრიზისი, რომელმაც შეასუსტა მუშათა ორგანიზაციების ძალა. I ინტერნაციონალის შემდგომი არსებობა ევროპის კონტინენტზე შეუძლებელი გახდა. რომ შეენარჩუნებინათ იგი, გადასწყდა გენერალური საბჭოს ადგილსამყოფელის გადატანა ამერიკაში (ნიუ-იორკი). 1876 წელს გენერალურ საბჭოს ამერიკელმა წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება ორგანიზაციის დაშლის შესახებ.

მიუხედავად თავისი მოღვაწეობის ხანმოკლე ვადისა, პირველმა ინტერნაციონალმა დიდი სამსახური გაუწია ყველა ქვეყნის მუშათა მოძრაობას და დიდი კვალი დასტოვა პროლეტარიატის ბრძოლის ისტორიაში.

...„ინტერნაციონალს არ ამოუწურავს თავისი თავი,—სწერდა მარქსი,—არამედ ის მხოლოდ გადავიდა ჩასახვის პირველი პერიოდიდან უფრო მაღალ პერიოდში, რომელშიაც მისი თავდაპირველი მისწრაფებანი ნაწილობრივ უკვე სინამდვილე გახდა. თავისი პროგრესიული განვითარების მსვლელობაში მან კიდევ ბევრი ცვლილება უნდა განიცადოს, ვიდრე შესაძლებელი გახდებოდეს მისი ისტორიის უკანასკნელი თავის დაწერა" (მარქს-ენგელსი, თხზ. ტ. XV, გვ. 433).

მარქსის ეს წინასწარმეტყველური სიტყვები სავსებით გამართლდა. პარიზის კომუნის შემდეგ პროლეტარიატი რევოლუციური ბრძოლის ახალ ხანაში შევიდა. დაიწყო პროლეტარული სოციალისტური პარტიების ჩამოყალიბება და ორგანიზება.

I ინტერნაციონალის მიერ მომზადებული ნიადაგი გამოიყენა II ინტერნაციონალმა. მაგრამ II ინტერნაციონალის ლიდერებმა წაბილწეს მარქს-ენგელსის დიადი საქმე. ისინი დაადგნენ ოპორტუნიზმის გზას, ბურჟუაზიასთან შეთანხმებლობის გზას. 1914 - 18 წლების ომმა ბოლომდე გამოამჟღავნა II ინტერნაციონალის ეს ოპორტუნისტული რაობა. ოპორტუნიზმი სოციალ-შოვინიზმად გადაიზარდა. II ინტერნაციონალი გაკოტრდა, მან კრახი განიცადა. II ინტერნაციონალის პარტიები გადაგვარდნენ და უღალატეს მარქსიზმს.

პირველი ინტერნაციონალის საბრძოლო ტრადიციები აითვისა მესამე—კომუნისტურმა ინტერნაციონალმა. მარქსისა და ენგელსის თეორიითა და მათი ბრძოლის ბრწყინვალე მაგალითით შეიარაღებულმა ლენინ-სტალინის პარტიამ — კომინტერნის მოწინავე რაზმმა — სოციალიზმის გამარჯვებამდე მიიყვანა ჩვენი ქვეყნის მშრომელნი. კომინტერნის პარტიები ყოველთვის აწარმოებდნენ დაუღალავ ბრძოლას ბურჟუაზიის ყველა აგენტებთან, რომელნიც ცდილობდნენ შიგნიდან აეფეთქებინათ ინტერნაციონალი. ჩვენმა ბოლშევიკურმა პარტიამ გაანადგურა ტროცკისტ-ბუხარინელი და სხვა ორგულნი, რომელნიც ცდილობდნენ აღედგინათ სსრ კავშირში კაპიტალისტური მონობა.

ჩვენი პარტია, რომელსაც ხელმძღვანელობს დიდი სტალინი, დაუღალავად იბრძვის პირველი ინტერნაციონალის მიერ დაწყებული საქმისათვის.

პირველი ინტერნაციონალი „...დაუვიწყარია, იგი უკვდავია მუშების მიერ თავისი განთავისუფლებისათვის წარმოებული ბრძოლის ისტორიაში, მან საძირკველი ჩაუყარა მსოფლიო სოციალისტური რესპუბლიკის იმ შენობას, რომელსაც ჩვენ ახლა ბედნიერება გვაქვს ვაშენებდით" (ლენინი, თხზ. ტ. XXIV, გვ. 194).

ეფრემოვი

◆

საომარი მოქმედება პოლონეთისა და დასავლეთის ფრონტზე

ბერლინი, 27 სექტემბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობას, სადაც ნათქვამია, რომ „პოლონეთის არმიის ალყაშემორტყმული ნაწილებიდან ბილგორაის აღმოსავლეთით წამოყვანილი იქნა ტყვედ პოლონეთის მე-41 დივიზია და ერთი ცხენოსანი ბრიგადა. გერმანიის იმ ძალების ზეგავლენით, რომლებიც ვარშავას უტევენ, ქალაქის კომენდანტმა დღეს შუადღისას განაცხადა ქალაქისა და გარნიზონის ჩაბარების შესახებ. გერმანიის ჯარის მთავარსარდალმა დაავალა გენერალ ბლასკოვიცს მოლაპარაკება აწარმოოს ქალაქის გადაცემის შესახებ.

გერმანიის ავიაციამ ყუმბარები დაუშინა მოდლინის უმნიშვნელოვანეს ობიექტებს.

დასავლეთ ფრონტზე სიწყნარეა. საჰაერო ბრძოლაში ფრეიბურგსა და ზიგმარინგენში ჩამოაგდეს საფრანგეთის ორი თვითმფრინავი. გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალებმა გუშინ ჩრდილოეთის ზღვაში წარმატებით მიიტანეს იერიში ინგლისის სახაზო გემებზე, ავიამზიდავებზე, კრეისერებსა და საესკადრო ნაღმოსნებზე. ბომბარდირების შედეგად ჩაძირულია ინგლისის ავიამზიდი და ძლიერ დაზიანებულია ერთი სახაზო გემი. ჩვენი მხრით, არც ერთი თვითმფრინავი არ დაკარგულა.

ნიუ-იორკი, 27 სექტემბერი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ბაზელიდან იუწყება, 25 სექტემბერს, ღამით, საფრანგეთის ჯარმა მოიგერია გერმანიის ჯარის კონტრიერიში. ორივე მხარე ძლიერ დაზარალდა. გერმანიის ჯარის ნაწილებმა მიტელბახის მახლობლად მდებარე სიმაგრეებისაკენ დაიხიეს.

ჰელსინკი, 26 სექტემბერი (საკდესი). გაზეთ „ჰელსინგინ სანომატის" პარიზელი კორესპონდენტი იუწყება, რომ საომარ მოქმედებას დასავლეთის ფრონტზე ისევ მოსამზადებელი ხასიათი აქვს. ძნელი სათქმელია, სწერს კორესპონდენტი, თუ რომელი მეომარი მხარე დაიწყებს დიდ შეტევას.

წარმატებით სწარმოებს ინგლისის ჯარის მნიშვნელოვან შენაერთთა გადაყვანა საფრანგეთში. გერმანელებმა თავის მხრით დასავლეთის საზღვარზე თავი მოუყარეს დიდძალ თვითმფრინავებსა და ტანკებს. გუშინ საფრანგეთის არტილერია 12 საათის განმავლობაში ყუმბარებს უშენდა გერმანიის სიმაგრეებს საარბრიუკენსა და ცვაიბრიუკენს შორის.

„გუუდსბლადეტის" კორესპონდენტი პარიზიდან იუწყება, რომ დროგამოშვებით დასავლეთის ფრონტზე გამოჩნდებიან ხოლმე ცნობილი გერმანელი მფრინავები „კონდორის" ლეგიონიდან. იგივე კორესპონდენტი სწერს, რომ საფრანგეთის კომპეტენტური წრეები ახლა გულდასმით სწავლობენ გერმანია-პოლონეთის ომის გამოცდილებას. მთავარი ყურადღება ექცევა გერმანელების ტაქტიკას პოლონეთში, განსაკუთრებით მათ მიერ მოტომექანიკური ნაწილების ფართო მასშტაბით გამოყენებას და სწრაფად დარტყმას.

საფრანგეთის ცნობა საომარი მოქმედების შესახებ

პარიზი, 27 სექტემბერი (საკდესი). ჰავასის სააგენტო საომარი მოქმედების შესახებ გადმოგვცემს საფრანგეთის შემდეგ კომუნიკეს: „27 სექტემბერი, დილა. ღამემ მშვიდობიანად განვლო. მტერი ვისემბურგის რაიონში ყუმბარებს უშენდა ჩვენი ხაზების ზურგს".

○

პარიზი, 27 სექტემბერი (საკდესი). ჰავასის სააგენტო გადმოგვცემს შემდეგ ოფიციალურ კომუნიკეს: „26 სექტემბერი, საღამო. შემჩნეული იყო მოწინააღმდეგის არტილერიის აქტივობა ცვაიბრიუკენის სამხრეთით მდებარე რაიონში და პირმაზენსის სამხრეთით. გათენებისას მოწინააღმდეგის იერიში მდინარე ლაუტერის ფრონტზე მოგერიებულ იქნა".

„ტანი" დასავლეთის ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ

ბრიუსელი, 26 სექტემბერი (საკდესი). საფრანგეთის გაზეთი „ტანი" სამხედრო ოპერაციების დღევანდელ მიმოხილვაში სწერს: „მდინარე საარისა და ლაუტერის ფრონტზე ამ უკანასკნელ დღეებში არავითარი სერიოზული მოქმედება არ აღინიშნულა. ამჟამად ყველაზე მეტ ინტერესს წარმოადგენს მტრის ტერიტორიაზე ფართოდ წარმოებული მოძრაობა. მთავარი ახლა ის არის, რომ გამორკვეულ იქნას ის რაიონი, სადაც გერმანელები თავისი ჯარის ძირითადი მასების გადაყვანას და თავმოყრას აპირებენ. ჩვენ სტრატეგიული ლოდინის ისეთ პერიოდს მივაღწიეთ, როდესაც სატრანსპორტო არტერიებისა და პოლონეთიდან გადმოყვანილი ჯარის შეჯგუფების ზონების საჰაერო დაზვერვა პირველხარისხოვან მნიშვნელობას იღებს.

ამჟამად ჩვენ გვაქვს დაახლოებითი ცნობები იმის შესახებ, თუ რა შემადგენლობის ჯარის ნაწილები მოეპოვება გერმანიას ომის პირველ თვეში. მან პოლონეთის არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში გაიყვანა დაახლოებით 70 დივიზია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მექანიზებულ დივიზიებს, რომელთა რიცხვიც დაზუსტებული არ ყოფილა, მაგრამ, რომლებიც, როგორცა სჩანს, აღემატება მშვიდობიანობის დროს არსებულ ამ გვარეობის ჯარის დიდ შენაერთებს, სახელდობრ 5 ჯავშნიან დივიზიასა და 4 მსუბუქ დივიზიას. მეორე მხრით, დასავლეთის ფრონტზე თავიდანვე დივიზიების რიცხვი 30 ან 40 უნდა იყოს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ გერმანიის არმიისათვის დათმობილი პოლონეთის ტერიტორია უზრუნველყოფილი იქნება საზღვრის დაცვისათვის დანიშნული შენაერთებით და ლანდვერის დივიზიებით; ეს დივიზიები შედგენილია 35-40 წლის ასაკის პირთაგან, რომელთაც სამხედრო სამსახური არ გაუვლიათ.

ამგვარად, გერმანიის სარდლობამ დასავლეთის ფრონტზე ბრძოლა უნდა აწარმოოს მაქსიმუმ 100 ან 110 სხვადასხვა ღირებულების დივიზიით და, შესაძლოა, 12 ჯავშნიანი დივიზიით.

სამხედრო მინისტრის პასუხი შეკითხვაზე თემთა პალატაში

ლონდონი, 27 სექტემბერი (საკდესი). სამხედრო მინისტრმა ჰორ ბელიშამ, უპასუხებდა რა შეკითხვაზე თემთა პალატაში, განაცხადა, რომ საფრანგეთში გაგზავნილი ინგლისის ჯარის საომარი მოქმედების დაწყების შემდეგ გამოქვეყნდება ცნობები, საფრანგეთის სამხედრო კომუნიკეს მსგავსად.

ინგლისის პრესა დასავლეთის ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ

ლონდონი, 26 სექტემბერი (საკდესი). ინგლისის პრესა იუწყება, რომ დასავლეთის ფრონტზე აქტივობამ იმატა. გაზეთები აცხადებენ, რომ საფრანგეთის მძიმე არტილერიამ ყუმბარები დაუშინა ზიგფრიდის ხაზს მთელ მის 300-მილიან სიგრძეზე. მძიმე არტილერია სროლას აწარმოებს უმთავრესად კარლსრუედან სამხრეთით მდებარე რაიონში, შვეიცარიის საზღვრამდე.

საზღვაო ბრძოლა ნორვეგიის ნაპირებთან

სტოკჰოლმი, 26 სექტემბერი (საკდესი). ნორვეგიის პრესის ცნობით, გუშინ მთელ დღეს ქალაქ ბერგენის (ნორვეგია) მახლობლად კვლავ დიდი საზღვაო ბრძოლა გრძელდებოდა. ძლიერი ნისლის გამო გემების მოძრაობა ბუნდოვანად მოსჩანდა. სროლის ხმა თითქმის მთელ დღეს ისმოდა. ჰფიქრობენ, რომ ბრძოლა გაიმართა გერმანიის სამხედრო გემებსა და ინგლისის სამხედრო გემებს შორის, რომელნიც ინგლისის სავაჭრო გემებს ახლდნენ.

რუმინეთში მყოფი პოლონელი ლტოლვილები აღშფოთებული არიან რიძ-სმიგლის წინააღმდეგ

ლონდონი, 26 სექტემბერი (საკდესი). გაზეთ „დეილი მეილის" სპეციალური კორესპონდენტი ბუქარესტიდან იუწყება, რომ რუმინეთში მყოფ პოლონელ ლტოლვილთა შორის შემჩნეულია დიდი აღშფოთება რიძ-სმიგლის წინააღმდეგ, რომელმაც პოლონეთის ჯარი იმ მომენტში მიატოვა, როცა იგი ჯერ კიდევ წინააღმდეგობის გაწევას განაგრძობდა. რიძ-სმიგლის გაქცევის შემდეგ მის სახელს პოლონეთის არმიაში ზიზღით იხსენიებდნენ.

პოლონელი ლტოლვილები უნგრეთში

ბერლინი, 26 სექტემბერი (საკდესი). ბუდაპეშტიდან იუწყებიან, რომ პოლონელ ლტოლვილთა რიცხვი უნგრეთში 35.000 კაცს შეადგენს. უნგრეთის მთავრობამ უფლება მისცა ყველა პოლონელ ლტოლვილს კვლავ დაბრუნდნენ პოლონეთში.

ანტიიაპონური აჯანყება შანდუნში

შანხაი, 26 სექტემბერი (საკდესი). გაზეთ „სინვენბაოს" ცნობით, 14 სექტემბერს მარიონეტულ ხელისუფალთა 2.000-ზე მეტი კაცისაგან შემდგარმა ჯარმა ტენსიანის მაზრაში (შანდუნის პროვინციის სამხრეთ ნაწილში) ანტიიაპონური აჯანყება მოაწყო. აჯანყების საბაბი ის იყო, რომ იაპონიის სამხედრო ხელისუფალნი სასტიკად გაუსწორდნენ მარიონეტული ხელისუფლების ჯარის მეთაურებს. იაპონელებმა სიკვდილით დასაჯეს 36 ოფიცერი მარიონეტულ ხელისუფალთა ჯარის ამ ჯგუფის სარდლის მეთაურობით.

აჯანყებულმა ჯარმა რამდენიმე ასეული იაპონელი ჯარისკაცი ამოჟლიტა და ჩინელ პარტიზანებს შეუერთდა.

საფრანგეთის კომპარტიის დაშლა

პარიზი, 26 სექტემბერი (საკდესი). ჰავასის სააგენტო რადიოთი იუწყება, რომ საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე, რომელიც დღეს შესდგა, შინაგან საქმეთა მინისტრმა სარომ რესპუბლიკის პრეზიდენტს ხელმოსაწერად წარუდგინა საგანგებო კანონი კომუნისტური პარტიისა და მისი მომხრე ყველა ორგანიზაციის დაშლის შესახებ.

○

პარიზი, 26 სექტემბერი (საკდესი). ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება კომუნისტური პარტიის დაშლის შესახებ.

○

პარიზი, 26 სექტემბერი (საკდესი). ჰავასის სააგენტო რადიოთი გადმოგვცემს: „თუმცა არსებული კანონმდებლობა ნებას არ იძლევა შეწყვეტილ იქნას პარლამენტის კომუნისტი დეპუტატების საპარლამენტო მოღვაწეობა, მაგრამ პარლამენტს შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება მათთვის მანდატების ჩამორთმევის შესახებ. დეპუტატთა პალატამ, შესაძლოა სხდომა კომუნისტი-დეპუტატების დაუსწრებლად გამართოს. პრეფექტებს უფლება აქვთ მინიჭებული გადააყენონ მერები, რომლებიც კომუნისტურ პარტიას ეკუთვნიან".

კომუნისტების დევნა საფრანგეთში

ბრიუსელი, 26 სექტემბერი (საკდესი). საფრანგეთის გაზეთი „ტანი" იუწყება, რომ ვილფრანშის (ლიონის მახლობლად) სასამართლომ პატიმრობა, ფულადი ჯარიმა და სამოქალაქო უფლებათა შეზღუდვა მიუსაჯა მთელ რიგ პირთ, რომლებიც კომუნისტურ გამოცემებს ავრცელებდნენ.

ჰიტლერი ბერლინს ჩავიდა

ბერლინი, 26 სექტემბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ დღეს, შუადღისას, ჰიტლერი ბერლინში ჩავიდა.

თურქეთის ახალი ელჩი ჰიტლერთან

ბერლინი, 27 სექტემბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება: „ჰიტლერმა დღეს მიიღო თურქეთის ახალი ელჩი გერედე, რომელმაც მას თავისი რწმუნების სიგელები გადასცა".

გერმანია-იუგოსლავიის სავაჭრო მოლაპარაკება

სოფია, 26 სექტემბერი (საკდესი). გაზეთი „უტრო" აქვეყნებს ბელგრადიდან მიღებულ ცნობას, რომელშიაც ნათქვამია, რომ 28 სექტემბერს ბელგრადში მოლაპარაკება დაიწყება გერმანიასთან ახალი სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ. მოლაპარაკების მსვლელობის დროს განხილული იქნება შემდეგი საკითხები: რა საფუძველზე უნდა იქნას შეტანილი საქონელი გერმანიაში, რომელიც ომის მდგომარეობაში იმყოფება, გაიტანება თუ არა ის საქონელი, რომლის ექსპორტიც აკრძალული იყო მთავრობის მიერ; განხილული იქნება აგრეთვე მთელი რიგი სხვა საკითხები.

საბჭოთა გემი ჩასძირა უცნობმა წყალქვეშა ნავმა

ლენინგრადი, 27 სექტემბერი (საკდესი). 27 სექტემბერს, დაახლოებით საღამოს 6 საათზე, უცნობი წყალქვეშა ნავის მიერ ნარვის ყურის რაიონში ტორპედირებულ და ჩაძირულ იქნა საბჭოთა გემი „მეტალისტი" წყალწყვით 4.000 ტონამდე. გემის ეკიპაჟიდან, რომელიც 24 კაცისაგან შესდგებოდა საბჭოთა მეთვალყურე ხომალდთა მიერ გადარჩენილია 19 კაცი; დანარჩენი 5 კაცი ვერ იპოვეს.

მოსციცკი და რიძ-სმიგლი დამარცხების მიზეზებს აღიარებენ

ჰელსინკი, 27 სექტემბერი (საკდესი). გაზეთ „უუსი სუომის" ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ პოლონეთის ყოფილმა პრეზიდენტმა მოსციცკიმ და მარშალმა რიძ-სმიგლიმ გულახდილად განაცხადეს ბუკოვინაში, თუ რა მიზეზით დამარცხდა პოლონეთი. რიძ-სმიგლიმ განაცხადა, რომ უკვე ომის პირველი ორი დღის შემდეგ პოლონეთის არმიის ხელმძღვანელობამ გერმანიის ავიაციის აქტიური მოქმედების შედეგად კავშირი დაჰკარგა ჯარის ცალკეულ შენაერთებთან, ხოლო მალე გაწყვეტილ იქნა თითქმის ყოველგვარი კავშირი არმიასთან მთლიანად. ინგლისმა ოფიციალურად შეატყობინა პოლონეთის მთავრობას, ინგლისის 1500 თვითმფრინავი პოლონეთს გამოფრინდაო, მაგრამ ეს მოჭორილი ამბავი გამოდგა. ინგლისის არც ერთი თვითმფრინავი არ მოსულა დანიშნულების ადგილას. შემდეგ დასავლეთის სახელმწიფოები გვარწმუნებდნენ, ზიგფრიდის ხაზი გარღვეულია ორ რაიონში და საფრანგეთის ჯარი ღრმად შეიჭრა გერმანიის ტერიტორიაზეო. რიძ-სმიგლი აღიარებს, რომ პოლონელები მეტად დიდ იმედებს ამყარებდნენ ინგლისელთა დაპირებაზე.

მოსციცკის აღიარებით პოლონეთი ბოლოსდაბოლოს მზად იყო მიეღო გერმანიის მოთხოვნები, მაგრამ ეს არ დაუშვა ინგლისმა. მაშინ, დაეყრდნო რა ინგლისის დაპირებებს, პოლონეთის ხელისუფლებამ რისკი გასწია და გერმანიას შეიარაღებული გამოსვლით უპასუხა.

გერმანიის სააგენტო უარჰყოფს ცნობას ფრიდრიხსჰაფენისა და კილის ბომბარდირების შესახებ

ბერლინი, 27 სექტემბერი (საკდესი). ტრანსოცეანის გერმანიის სააგენტო რადიოთი გადმოგვცემს, რომ ბერლინში ოფიციალურად უარჰყოფენ უცხოეთის პრესაში გამოქვეყნებულ ცნობას ინგლისისა და საფრანგეთის თვითმფრინავების მიერ ფრიდრიხსჰაფენისა და კილის არხის ბომბარდირების შესახებ. ნეიტრალური ქვეყნების პრესის წარმომადგენლებს, ნათქვამია ოფიციალურ ცნობაში, საშუალება მიეცემათ ადგილობრივ დარწმუნდნენ, რომ უცხოეთის პრესის ეს ცნობები სინამდვილეს არ შეეფარდება.

ომი ზღვაზე

ნიუ-იორკი, 27 სექტემბერი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ოსლოდან გადმოგვცემს, რომ გუშინ ფარსუნდის დასავლეთით (ნავსადგური ნორვეგიის სამხრეთ ნაწილში) 11 საათიდან 12 საათსა და 40 წუთამდე გრინვიჩის დროით საზღვაო შეტაკება მოხდა. მნახველთა განცხადებით, შეტაკებაში მონაწილეობას იღებდა სამი დიდი სამხედრო გემი, ორი წყალქვეშა ნავი, მრავალი მცირე გემი და ავიაცია. შეტაკების დროს 40-მდე გასროლა მოახდინეს.

უკანასკნელი ცნობები

გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობა ვარშავის კაპიტულაციის შესახებ

ბერლინი, 27 სექტემბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურომ დღეს გადმოგვცა გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის შემდეგი ცნობა: „ვარშავა ჩაგვბარდა ყოველგვარ პირობათა გარეშე. ქალაქის ფორმალური ჩაბარება გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობისათვის 29 სექტემბერს მოხდება. ვარშავის სამხედრო გარნიზონში, არსებულ ცნობათა მიხედვით, 100 ათასზე მეტი კაცი ირიცხება".

საარბრიუკენის ევაკუაცია გერმანელების მიერ

ლონდონი, 27 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ „გერმანელებმა საარბრიუკენის სრული ევაკუაცია მოახდინეს. საფრანგეთის ჯარი ქალაქს სერიოზულად ემუქრება. იგი არტილერიის განუწყვეტელი ცეცხლის ქვეშ იმყოფება".

საარტილერიო დუელი დასავლეთის ფრონტზე

ნიუ-იორკი, 27 სექტემბერი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო პარიზიდან იუწყება, საფრანგეთის არტილერიამ დაანგრია გერმანიის დასავლეთის სიმაგრეთა ზოგიერთი უბანი მერციგსა და საარბრიუკენს შორის. მთელს ფრონტზე გაფთრებული საარტილერიო სროლა სწარმოებს. გერმანელები, თავის მხრივ, გაძლიერებით უშენენ საფრანგეთის მოწინავე პოზიციებს საარბრიუკენის რაიონში.

პოლიციის თავდასხმა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის სადგომებზე

ნიუ-იორკი, 27 სექტემბერი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო პარიზიდან იუწყება, საფრანგეთის პოლიცია თავს დაესხა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებისა და აგრეთვე ზოგიერთი პროფკავშირის სადგომებს. სადგომები დალუქულია.

ახალი თეატრალური სეზონი

ქუთაისში

29 სექტემბერს იხსნება ქუთაისის სახელმწიფო თეატრის 1939-40 წლის სეზონი.

სეზონი იხსნება ვ. გაბესკირიას „მათი ამბავით". პიესაში მონაწილეობენ: რესპ. სახ. არტისტი ალ. იმედაშვილი, რესპ. დამს. არტისტი ი. ზარდალიშვილი, ც. [illegible], ღვინიაშვილი, ნაცვლიშვილი, მეგრელიშვილი, ტატიშვილი და სხვ.

დადგმა რესპ. დამს. არტისტ დ. ანთაძისა, მხატვარი ი. მდივანი, მუსიკა თ. ვახვახიშვილისა.

მორიგ პრემიერად ნაჩვენები იქნება ლენჩისა და ვოიტეხოვის „პაველ გრეკოვი" რეჟ. გ. სულიაშვილის დადგმით. მხატვარი ი. მდივანი, მუსიკა თ. ვახვახიშვილისა.

ჭიათურაში

დღეს იხსნება ჭიათურის სახელმწიფო თეატრის 1939-40 წლის სეზონი. თეატრის კოლექტივმა ახალი სეზონისათვის სათანადო მოსამზადებელი მუშაობა ჩაატარა. დასი ძირითადად უცვლელია. ამხ. პ. ფრანგიშვილის გორში გადაყვანის გამო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად და დირექტორად დაწინაურებულია ამავე თეატრში აღზრდილი ახალგაზრდა რეჟისორი სოფრომ ცომაია.

სეზონში თეატრს გადაწყვეტილი აქვს უჩვენოს შემდეგი ახალი დადგმები: ვ. გაბესკირიას „მათი ამბავი", გერგელისა და ლიტოვსკის „ჩემი შვილი", შ. დადიანის „გუშინდელნი", ს. შანშიაშვილის „ძმა ძმისთვის" და ნაიდენოვის „ვანიუშინის ოჯახი".

თეატრი ემზადება დიდი ქართველი მწერლის აკაკი წერეთლის იუბილესათვის. საიუბილეო დღეებში დაიდგმება აკაკის „პატარა კახი".

გასული სეზონიდან აღდგენილი იქნება „ბრმა მუსიკოსი", „მისი ცოლი", „კოლმეურნის ქორწინება", „ოტელლო", „ოიდიპოს მეფე" და სხვ.

წელს თეატრში მუდმივ მხატვრად იმუშავებს შ. სიდამონ-ერისთავი, ხოლო რამდენიმე დადგმის მხატვრულად გაფორმებისათვის მოწვეულნი იქნებიან პროფესორი დ. კაკაბაძე და ორდენოსანი ელენე ახვლედიანი.

სეზონი იხსნება ვ. გაბესკირიას „მათი ამბავით". დადგმა რეჟ. ცომაიასი.

ლ. ლოლაძე

ფეხბურთი

სსრკ პირველობაზე

ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების შეჯიბრება სსრკ პირველობაზე დასასრულს უახლოვდება.

ჯერჯერობით დაწინაურებულია სტალინგრადის „ტრაქტორი", რომელსაც 19 ჩატარებული მატჩიდან შეგროვილი აქვს 25 ქულა. დაწინაურებულ გუნდებს შორის არიან აგრეთვე მოსკოვის „სპარტაკი" (24 ქულა 18 თამაშიდან), „მეტალურგი" (24 ქულა 20 თამაშიდან და მოსკოვის „დინამო" (24 ქულა 21 თამაშიდან). 28 სექტემბერს დანიშნულია მოსკოვის „სპარტაკისა" და „ტრაქტორის" მატჩი. ეს შეჯიბრება გადასწყვეტს ამ ჯგუფების შემდგომი წინსვლის საკითხს.

შეჯიბრების მეორე წრეში საგრძნობლად გააუმჯობესა თავისი მდგომარეობა მოსკოვის „მეტალურგმა". გუნდმა 7 უკანასკნელი მატჩიდან 6 მოიგო. მან დაამარცხა ისეთი გუნდები, როგორიც არის მოსკოვის „სპარტაკი", „ლოკომოტივი", სტალინგრადის „ტრაქტორი", კიევის „დინამო" და სხვ. მოწინავე გუნდებს ეწევიან მოსკოვის „ლოკომოტივი" (23 ქულა 20 მატჩიდან) და „ცდკა" (21 ქულა 17 თამაშიდან).

თბილისის „დინამოს" სსრკ პირველობაზე გათამაშების მეორე წრის შეჯიბრებაში მონაწილეობასთან ერთად უხდებოდა მეტად საპასუხისმგებლო მატჩების ჩატარება სსრ კავშირის თასზე. მიუხედავად ამისა დინამოელებმა მხოლოდ ერთი მატჩი წააგეს. ორი დაამთავრეს ფრედ და ორი მოიგეს. ამჟამად თბილისელები 5-6 ქულით ჩამორჩებიან ლიდერებს, მაგრამ თუ მომავალ შეხვედრებში გუნდი საპატიო შედეგებს მოიპოვებს, მაშინ მას შესაძლებლობა ექნება გამოვიდეს პირველ სამეულში.

თითქმის შეუძლებელია წინასწარ გათვალისწინება იმისა, თუ ვინ გამოვა გამარჯვებული ამ ბრძოლიდან. გუნდებს შორის ბრძოლა უფრო-დაუფრო დაძაბული ხდება, რის გამო მთელი რიგი მატჩები, შესაძლებელია, მოულოდნელი შედეგით დამთავრდეს.

უკანასკნელ ადგილზე არიან ლენინგრადის „ელექტრიკი", „სტალინეცი", სტალინოს „სტახანოვეცი" და ოდესის „დინამო".

სასამართლო

[illegible]

პატიოსანი [illegible] აკულინა აბაკუმოვამ განცხადებით მიმართა საგამომძიებლო ორგანოებს მის მეზობლად მცხოვრები სპეკულანტების სამართალში მიცემის შესახებ. დაიწყო კვლევა-ძიება და მართლაც აღმოჩენილ იქნა სპეკულანტების ბუდე სერგო პეტრეს-ძე გუშჩინის, ანა პავლეს-ასულ პაეტიანის, გალინა ალექსის-ასულ ბაბაევას და თამარ ოჰანესის-ასულ გასპაროვას სახით. მათ [illegible] განაწილებული ჰქონდათ ურთიერთშორის როლები და შეხმატკბილებულად „მუშაობდნენ".

ანა პავლეს-ასული პაეტიანი, მაგალითად, დაკავშირებული იყო თბილისის ცენტრალური უნივერმაღის დახლის მუშაკებთან, რომლებიც მას ხელგაშლილად აწვდიდნენ ძვირფას სამრეწველო საქონელს, პაეტიანი კი ამ საქონელს ასაღებდა კერძო ბაზარზე სპეკულანტურ ფასებში. მაგალითად, 275-მანეთიან დრაფის საპალტოეს ჰყიდდა 800 მანეთზე მეტად და სხვ. ს. პ. გუშჩინი მოგზაურობდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში და მიჰქონდა იქ გასასაღებლად ბანდის დანარჩენი წევრების მიერ შეძენილი საქონელი, იქიდან კი ეზიდებოდა ისეთ საქონელს, რომლის შოვნაც თბილისში ძნელი იყო.

სპეკულანტები შეიპყრეს. მათი საქმე ამ დღეებში გაარჩია ქ. თბილისის სტალინის რაიონის მე-7 უბნის სახალხო სასამართლომ ამხ. ვ. რუსიას თავმჯდომარეობით და სახელმწიფო ბრალმდებლის სტალინის რაიონის პროკურორის ამხ. რ. ბაბანოვის მონაწილეობით.

სასამართლო პროცესზე გამოირკვა, რომ თვით აკულინა აბაკუმოვა ყოფილა სპეკულანტთა ამ ბანდის ხელმძღვანელი. პროცესზე ის გამოწვეული იყო, როგორც მოწმე, მაგრამ რადგანაც მას ნიღაბი ჩამოეხსნა, სასამართლოს გადაწყვეტილებით იქვე იქნა დაპატიმრებული.

სასამართლომ სერგო პეტრეს-ძე გუშჩინს და ანა პავლეს-ასულ პაეტიანს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 8-8 წლით მთელი მათი ქონების კონფისკაციით და სასჯელის მოხდის შემდეგ თითოეულს 2-2 წლით სამოქალაქო უფლებების აყრა. გალინა ალექსის-ასულ ბაბაევას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 წლით, მისი პირადი ქონების კონფისკაციით და სასჯელის მოხდის შემდეგ 1 წლით სამოქალაქო უფლებების აყრა. თამარ ოჰანესის-ასულ გასპაროვას მიესაჯა 1 წლის იძულებითი მუშაობა.

სასამართლომ აკულინა აბაკუმოვას საქმე ცალკე გამოჰყო დამატებითი კვლევა-ძიებისათვის.

მ. სურგულაძე

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილება წინადადებას აძლევს ივანე დავითის-ძე თანდილაშვილს (თელავი) და გიორგი ვასილის-ძე მრევლიშვილს (მცხეთა) სამი დღის განმავლობაში გამოცხადდნენ ამხ. გ. ცხოვრებაძესთან (ძერჟინსკის ქ. № 8, მე-2 სართული, ოთახი № 23).

საქ. კ. პ. (ბ) ბორჯომის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთები № 1510769—დავით ზაქარიას-ძე რევაზიშვილის, № 1544319—პეტრე ალექსანდრეს-ძე სემისინოვის და საკანდიდატო ბარათი № 1261289—ნინა მიხეილის-ასულ რუმიანცევას სახელზე დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1538022 ნიკოლოზ ნესტორის-ძე კუპრეიშვილის სახელზე დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) საგარეჯოს რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1534181—გიორგი ალათონის-ძე ქელივიძის სახელზე დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. — მთის მარში, **ოქტომბერი** — კატერინა, **დამკვრელი (საზ.)**—კაპიტან გრანტის შვილები, **დამკვრელი** (ზამთ.)—ცხარე დღეები, **კომკავშირელი** (საზ.)—მთის მარში, **კომკავშირელი** (ზამთ.)—მთის მარში, **სპარტაკი**—ვაჟკაცობა, **რ. ლუქსემბურგის სახ.**—მტკიცე ხასიათის ქალიშვილი, **26 კომ. სახ.**—ლენინი 1918 წელს, **კომინტერნი** —უკანასკნელი მასკარადი, **ს. ორჯონიკიძის სახ. კ.დ.ც.პ.**—ვოლგა, ვოლგა.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი
სახელმწიფო თეატრი
1939-40 წ. წ. სეზონი.

28/IX	29/IX	30/IX
მუდმ. ადგ. ტალონი № 8	მუდმ. ადგ. ტალონი № 9	მუდმ. ადგ. ტალონი № 10
მთაგრეხილზე	ოტელლო	ნაპერწკლიდან

სალარო ღიაა დღის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე. დასაწყისი 8 საათზე.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის
ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

28 სექტემბერს	29 სექტემბერს	30 სექტემბერს
მუდმ. ადგ. ტალ. № 5	მუდმ. ადგ. ტალ. № 6	მუდმ. ადგ. ტალ. № 7
ქეთო და კოტე	ჯავშნოსანი პოტიომკინი	ტრავიატა

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
აბონემენტებზე განაცხადთა მიღება და აბონემენტების გაცემა თეატრის სალაროში.
სალარო ღიაა 11—4 ს. და 5—9 ს.

საქსახესტრადის საზაფხულო თეატრი და ბაღი
(პლეხანოვის პროსპ. № 123, ტელ. 3-18-50)
საზაფხულო თეატრი
28 სექტემბერს მუდ. ადგ. ტალ. № 122, 123 პერიკოლა მუს. კომ. 4 მოქმ.
29 სექტემბერს მუდმ. ადგ. ტალ. № 124 უკანასკნელად ცისფერი მაზურკა მუს. კომ. 3 მოქმ.
30 სექტემბერს მუდმ. ადგ. ტალ. № 125 საზაფხულო სეზონის დახურვა უკანასკნელად პერიკოლა მუს. კომ. 4 მოქმ.
დასაწყისი საღ. 9 საათზე.
ბილეთების შეძენა დილის 11 საათ. 3 ს. საღ. 6 საათ. 11 საათამდე
ღია ესტრადა
28 სექტემბერს ხმოვანი კინოფილმი დასაწყისი 10 საათზე.
29 და 30 სექტემბერს დიდი საღამო კონცერტი დასაწყისი 9 ს. 30 წ.
ბაღში სასულე ორკესტრი ხანაგოვის ხელმძღვანელობით.

მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრის
დირექცია აცხადებს, რომ
დასის შეკრება
დანიშნულია ა. წ. 9 ოქტომბერს დილის 1 საათზე.

1939 წ. პირველ ოქტომბერს საღამოს 7 საათზე ქ. თბილისში, საბჭოთა კავშირის მარშალის ამხ. ვოროშილოვის სახელობის კლუბში, გაიხსნება
საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა აქტივის თათბირი.
დღის წესრიგშია
ცეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ვ. ჯიბლაძის მოხსენება „სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წ. 25/I გადაწყვეტილებათა შესრულების შესახებ.
2—2 384 ცეკავშირის პრეზიდიუმი.

მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრის დირექცია აცხადებს კონკურსს სტაჟიორებისა და სცენის თანამშრომლების მიღებაზე. პირობების გაგება შეიძლება თეატრის კანცელარიაში, ყორესის ქუჩა № 8, დილის 11 საათიდან დღის 4 საათამდე. გამოცდები დანიშნულია ა. წ. 4 ოქტომბერს. 2—1 50

თბილისის ავტოსარემონტო ქარხანა აცხადებს ყველა ავტომეურნეობის საყურადღებოდ,
რომ მანქანებისა და აგრეგატების კაპიტალური რემონტის ფასების დაკლებასთან დაკავშირებით ქარხანა შეუდგა დამატებითი ხელშეკრულებების დადებას დაკლებული ფასებით 1939 წლისათვის.



კაპიტალურ რემონტში მიიღება მანქანები: გაზ-აა, ზის-5 და ამავე მარკების აგრეგატები
რემონტის ფასები: გაზ-აა I კატ.—3000 მან. II კატ. 3300 მან.
ზის-5 I კატ.—4200 მან. II „ 4800 მან.
მოტორები: გაზ-აა I კატ.— 520 მან. II „ 725 მან.
ზის-5 I „ — 875 მან. II „ 1025 მან.
ხელშეკრულებების მიხედვით შეკვეთების შესრულების ვადა
გაზ-აა—10 დღე მოტორები გაზ-აა— 3 დღე
ზის-5 —15 დღე ზის-5 —10 დღე.
რადგან ქარხანას საკმაო რაოდენობით მოეპოვება შეკეთებული მზა მანქანები გაზ-აა და ზის-5, აგრეთვე გაზ-აა მოტორები, მას შეუძლია დაუყოვნებლივ გასცეს საბრუნავი ფონდიდან რემონტში მიღებულთა ნაცვლად სათანადო კატეგორიის მანქანები და მოტორები.
ქარხანა იძლევა მანქანებისა და აგრეგატების რემონტის კეთილხარისხოვნობის გარანტიას—საგარანტიო გადარბენით. სარემონტოდ ჩაბარებული მანქანები სრულად დაკომპლექტებული უნდა იყოს. დაუკომპლექტებელი მანქანები სარემონტოდ არ მიიღება.
ყველა ცნობისათვის ხელშეკრულებათა დადების საკითხზე მიმართეთ: ქალ. თბილისი, მექანიზაციის ქუჩა, თბილისის ავტოსარემონტო ქარხანა, გასაღების განყოფილება.
ტელეფონები: 3-25-45, 3-21-67, 3-00-60.
150 დირექცია.

ევსიხი, თამარ და გაზიკო ცინცაძეები იუწყებიან, რომ 30/IX 1 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია ლადო ცინცაძის სამოქ. პანაშვიდი. 3239

საქმიწსახკომის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ მეთამბაქოების სამმართველოს ინჟინერ ირაკლი თათეიშვილს მისი დედის ლიზა ივანეს-ასულ თათეიშვილის გარდაცვალების გამო. 3241

მშობლები ბაბულია, ვასო, დები რუსიკო, ირა ციტაიშვილები იუწყებიან, რომ 30/IX 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია საყვარელ ქეთინო ციტაიშვილის სამოქალაქო პანაშვიდი. 3233

მამა ვარლამ, ძმა აკაკი, დები თალიკო, ტატიანა იუწყებიან, რომ 30/IX ძველ აბაშაში დანიშნულია სიი-ს მე-4 კურსის სტუდენტ ზოთა (ბიჭიკო) ვარლამის-ძე ქორიავას სამოქ. პანაშვიდი. 3234

მეუღლე ლილი, ძმა თემურხან, რძალი ქსენია, ძმისწული ეთერ, დები ფუცია, დომნა ნიჟარაძეები იუწყებიან, რომ 30/IX 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია ძვირფას ჯელვესი ერმალოს-ძე ნიჟარაძის პანაშვიდი. 3235

მშობლები რომანოზ, ნინო, მეუღლე თამარ, შვილი მედიკო, დები ლიუბა ქმარშვილით, ლოლა შონვაძეები იუწყებიან, რომ 30/IX 5 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია საყვარელი ინჟ. შალვა რომანოზის-ძე შონვაძის პანაშვიდი. 3236

საქ. შამპანურის წარმოების კომბინატის დირექცია და ადგილკომი იუწყებიან ამავე კომბინატის თანამშრომელ ვ. წერეთლის მეუღლის ანეტა წერეთლის გარდაცვალებას. 3237

შვილი ნინო, სიძე მიშა დედაბრიშვილები, შვილიშვილები გულნარა და ციალა; ევა, შაქრო დედაბრიშვილები იუწყებიან ძვირფას ნიკოლოზ ივანეს-ძე სამადაშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ფლავში (გორის რ.). 3238

შვილი მარინა (ბაჩიკო), სიძე გოგი შავგულიძე მშობლებით მწუხარებით იუწყებიან ივანე (ჯაგუ) თეოფანეს-ძე ალანიას გარდაცვალებას. დაკრძალვა ბათუმში 30/IX. 3242

მახარაძის რაიონის განათლების განყოფილება იუწყება სასკოლო ინსპექტორის და პედაგოგიური კაბინეტის გამგის გიორგი ისიდორეს-ძე სირაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. მახარაძეში 30/IX. 3243

ღრმად დამწუხრებული დედა ნინო, ძმა ვასილი მეუღლით ნადიკოთი და დიდედა საშა იუწყებიან, რომ 30 სექტემბერს 4 საათზე კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია მათთვის საყვარელ თამრიკო ნაზგაიძის სამოქალაქო პანაშვიდი.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—83, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის—3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, საბჭოთა მშენებლობის და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83, მრეწველობისა და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, 3—80—81. პ.-გ. მორიგის—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ა—1751